# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 19 დეკემბერი 2005 №291 (2614) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მან უნდა თქვას: WAS IST DAS?

დღეს, გამთენიისას, თბილისში სრეჩკო კატანეცი უნდა ჩამოსულიყო. გუშინ საღამოს კი შევიტყვეთ, რომ სლოვენიელი მწვრთნელის ვიზიტი გადაიდო — ოფიციალური ცნობით, პირადი პრობლემების გამო.

როგორც წესი, საჯაროდ გაცხადებული პირადი მიზეზების უკან სულ სხვა მიზეზები იმალება ხოლმე და ეჭვი გვაქვს, კატანეცის შემთხვევაშიც ასეა.

ინფორმაცია, რომელიც „სარბიელს" გააჩნია, იმდენად სარწმუნო წყაროებიდანაა მიღებული, ფაქტობრივად, უტყუარად შეგვიძლია მივიჩნიოთ: დღეს ან ხვალ ნოდარ ახალკაცი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება და ამ აუდიენციისას კლაუს ტოპმიოლერის ჩამოყვანაზე იქნება საუბარი. მით უმეტეს — ტოპმიოლერი იმაზე „ცოტა" იაფი ღირს, ვიდრე თავდაპირველად ითქვა...

ერთიც შევიტყვეთ: ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ქავთარაძის თქმით, სავსებით შესაძლოა, რომ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის მერე, რომელიც 22 დეკემბერს გაიმართება, ნოდარ ახალკაცი გერმანიაში გაემგზავროს ტოპმიოლერთან საბოლოოდ შესათანხმებლად...

ჰოდა, სრეჩკო კატანეცის დღეს არჩამოსვლის ნამდვილი მიზეზიც, ლოგიკურად, ეს უნდა იყოს.







## ახალკაცის ბუტერბროდი თუ შოთის პური რას ჭამენ ქართველები საახალწლოდ?

*საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატის, კლაუს ტოპმიოლერის სამდღიანი ვიზიტის შემდეგ, 14 დეკემბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენცია მოაწყო და გვამცნო, ტოპმიოლერმა გასამრჯელოდ თვეში 100 ათასი ევროც მოითხოვა და მის მიერ შერჩეულ თანაშემწის და მენეჯერის ყოლაცო. ერთი სიტყვით, ახალკაცის ინფორმაციით, ტოპმიოლერი წელიწადში 1 200 000 ევროს ითხოვს საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნაში.*

*მაგრამ: ახალკაცის ნახსენებ ციფრებს მკვეთრად ეწინააღმდეგება ეს ინფორმაცია — ტოპმიოლერი ყაბულსაა, ჩვენი ნაკრები წელიწადში მილიონ დოლარად გაწვრთნას, გამოგზავნეთ ასეთი შემოთავაზება და საქართველოს ნაკრებს ჩავიბარებო. ეს ინფორმაცია შოთა არველაძემ მოგვაწოდა და გვითხრა, ჩემი პირადი კავშირებით გავიგეო. არველაძისგან შევიტყვეთ ისიც, რომ ტოპმიოლერი 26 დეკემბერს გერმანიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება დასასვენებლად.*

*უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ტოპმიოლერის ამერიკაში წასვლამდე ვერ მოხერხდება მასთან შეთანხმება, მისი საქართველოს ნაკრებში მუშაობის შანსი პრაქტიკულად ამოიწურება.*

*მაგრამ, სად 1 200 000 ევრო და სად 1 000 000 დოლარი? ვის რაში დასჭირდა ტყუილი?*

დავით თავართქილაძე

სამჯერ მარცხნივ — თფუ, თფუ, თფუ

# შავი კატა

## კატანეცი თუ კა~~ტა~~ნეცი?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დღეს ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კანდიდატს, სლოვენიელ სრეჩკო კატანეცს უმასპინძლებს. ხუთშაბათს ფედერაციის აღმასკომის სხდომასაც მოილევს და პარასკევს, სავარაუდოდ, გერმანიაში კლაუს ტოპმიოლერთან პირისპირ შესახვედრად გაემგზავრება.

სრეჩკო კატანეცი კი თბილისში ამ დილით უნდა ჩამოსულიყო და უკან დაბრუნებაც დღეს აქვს დაგეგმილი. სლოვენიელის ქართული ვიზიტი რამდენიმესაათიანია და მან უნდა მოასწროს ყველაფერი, რასაც კლაუს ტოპმიოლერმა სამი დღე მოანდომა, ანუ გაეცნოს ქართულ საფეხბურთო ინფრასტრუქტურას, ქართულ პურ-მარილს და ფედერაციის ხელმძღვანელობას სამომავლო ურთიერთობებზე მოელაპარაკოს. რას იტყვის კატანეცი და რა პასუხს გაატანს მას ფედერაცია, ალბათ, მალე იტყვიან, თუმცა იქამდე ცნობილია, რომ ნოდარ ახალკაცი გერმანიაში ტოპმიოლერთან უკვე კონკრეტული წინადადებითა და მწვრთნელობის ოფიციალურად შესათავაზებლად მიემგზავრება. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის ფედერაცია ტოპმიოლერისთვის თავის სიტყვას ამზადებს და რამდენიმე დღეში ფინანსურ შესაძლებლობებსაც საბოლოოდ განსაზღვრავს. ფედერაცია დღესდღეობით სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე მუშაობს და პარალელურად დაფინანსების საკითხებიც ზუსტდება. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გიორგი ქავთარაძის თქმით, ახალკაც-ტოპმიოლერის პირისპირ შეხვედრა თუ არ შედგება, გერმანელი მწვრთნელი ამ კვირაში ფედერაციის საბოლოო წინადადებას მაინც მიიღებს. მთავარია, რომ ფედერაციის შეთავაზებასა და გერმანელის მოთხოვნას შორის დიდი სხვაობა არ იყოს, თორემ კლაუს ტოპმიოლერი რომ თავდაპირველ პირობებს შეცვლის, ფედერაციაში დარწმუნებულები არიან.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი ის არის, რომ შაბათს ნოდარ ახალკაცმა და კლაუს ტოპმიოლერმა ტელეფონით ისაუბრეს. რა ითქვა მათ შორის, დაწვრილებით ვერ გეტყვით, თუმცა ერთმანეთს თბილად და სამომავლო ურთიერთობის იმედად რომ დაშორდნენ, ამის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია.

...სრეჩკო კატანეცი კი თავისი აგენტითურთ, ალბათ, თბილისშია და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებიც დაწყებულია. კატანეცის პირობები ტოპმიოლერისაზე გაცილებით მოკრძალებული და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, ვფიქრობთ, უფრო მისაღები იქნება, მაგრამ კვალიფიკაციითა და ავტორიტეტით სლოვენიელი რომ გერმანელს ვერ შეედრება, ესეც გასათვალისწინებელი უნდა იყოს.

მაშ ასე: დღეს, ნაშუადღევს, თბილისში სრეჩკო კატანეცი...

**P. S.** ბოლო სტრიქონი იწერებოდა, როცა გვაცნობეს, რომ სრეჩკო კატანეცი პირადი მიზეზების გამო თბილისში ჯერ ვერ, მაგრამ 26 დეკემბერს კი ჩამოფრინდება.

**ქობა ინასარიძე**





## ბოლია, ბოლია...

**მახსოვს,** ბავშვობაში რაღაც თამაში იყო თუ გათვლა, უფრო ზუსტად, თითები მიმდევრობით უნდა ჩაგვეკეცა და თან „საზეპირო“ მიგვეყოლებინა: „ბოლია, ბოლია, ძროხა ჭრელია, ამან დაიჭირა, ამან დაკლა, ამან ქვაბში ჩაყარა, ამან მოხარშა, ამან შეჭამა“... „შეჭამა“, რა თქმა უნდა, ცერა თითზე მოდიოდა — ყველაზე მსუქანია და ალბათ ამიტომ.

ვერ გეტყვით, რამ გამახსენა ეს უწყინარი თამაში, მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდი, მშვენივრად მიერითმა ჩვენს საფეხბურთო რეალობას: დამჭერმა დაიჭირა; მერე ვიღაცამ თავი მოგვჭრა; ვიღაცამ ყველაფერი ერთ ქვაბში მოათავსა; ვიღაცამ ყველაფერი „მოხარშა“ და ან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, ანაც საერთოდ გაერიდა აქაურობას; ვიღაცამ კი (უფრო ზუსტად, ვიღაცებმა) მაგრად „ჭამა“. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რითიც ეს თამაში იწყება, ანუ „ბოლია, ბოლია...“

თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება იმის თქმა, რომ უმალ საქართველოს ჩემპიონს ვიხილავთ ჩემპიონთა ლიგის უახლოესი გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე, ვიდრე კლაუს ტოპმიოლერს ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად. და ამის მიზეზი ფინანსები სულაც არ იქნება. კლაუს ტოპმიოლერთან დაკავშირებული ისტორია იმთავითვე ჩვენი უსუსურობის დასტურად იყო გათვალისწინებული ნაკრების მწვრთნელთან დაკავშირებულ ეპოპეაში, რომელმაც უკვე გამოიღო შედეგი.

შედეგი ის გახლავთ, რომ კლაუს ტოპმიოლერზე მეოცნებენი უმალ აღმოვჩნდით სრულიად სხვაგვარი რეალობის წინაშე, რომელიც უკეთეს ვარიანტში სრეჩკო კატანეცის „გაქართველებას“ გვიქადის, უარეს შემთხვევაში კი დღეს არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას. და სად არის ამ შემთხვევაში ქართული ფეხბურთის ქომაგის ადგილი? „ჯანდაბას, კატანეცი მაინც არ გავუშვათ ხელიდან“ — ლოგიკიდან გამომდინარე, ალბათ, სლოვენიელთან კონტრაქტის გაფორმების მსურველთა რიგებში, მაგრამ არც ასე მარტივადაა საქმე.

ჯერ ერთი: კაცმა არ იცის, რამდენს მოითხოვს ამბიციური სლოვენიელი და თუნდაც მისი მადის დაკმაყოფილებას გაწვდება თუ არა ქართული ჯიბე.

მეორე: კატანეცისა და სლოვენიის ნაკრების წარმატება აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ სრეჩკო საქართველოს ნაკრებს მოერგება ან მოირგებს — სლოვენიური ფეხბურთი მისთვის მშობლიური გარემო იყო, ხუთი თითივით ნაცნობი. ამას გარდა, მაინც ვფიქრობ, რომ იმ შემთხვევაში მოხდა მწვრთნელის, ფეხბურთელების, ვითარების, წილისყრის შედეგების, ყისმათის და კიდევ ბევრი სხვა ნიუანსის ბედნიერი თანხვედრა დროსა და სივრცეში, რამაც კატანეცის ტრიუმფი განაპირობა.

მესამე: კატანეცისთვის ქართული ფეხბურთი უცხო ხილია. სამაგიეროდ, მისთვის სულით ხორცამდე ახლობელია მუშაობის, აზროვნების ჩვენთვის კარგად ნაცნობი — აღმოსავლეთევროპული, გნებავთ, პოსტსოციალისტური სტილი და რა იგულისხმება ამ სიტყვების მიღმა, გამგები გაიგებს. სლოვენიელის ჩვენთვის ახლობელი მენტალიტეტის გამოვლინებას კი სურვილის შემთხვევაში იოლად აღმოაჩენთ, თუკი მის სამწვრთნელო ბიოგრაფიას ყურადღებით გადაავლებთ თვალს. ანუ, შანსი (საფრთხე) იმისა, რომ სრეჩკო უმალ ქართულ საფეხბურთო რეალობას მოერგება, ვიდრე საქართველოს ნაკრებს, საკმაოდ დიდია.

დაბოლოს: რეაქცია, რომელიც ქართულ მედიაში ტოპმიოლერის ვიზიტს მოჰყვა, ადვილად პროგნოზირებადი იყო. ძნელად სავარაუდო არც ჩვენი დღევანდელი განწყობაა — კატანეცთან საქმის დაჭერას ასეთივე კატეგორიული ტონით სფფ-ს არავინ მოსთხოვს. ამასობაში კი ევროპა საშობაო არდადეგებზე წავა. მერე... მერე ერთი ნაბიჯია მალტამდე, სადაც საქართველოს ნაკრებს ჩაუძღვება დღევანდელი მთავარი მწვრთნელი, რომელსაც ჰქვია... თუმცა, ეს უკვე განვლილი ეტაპია.

P.S. თუ მეხსიერება არ მღალატობს, დეკემბრის შუა რიცხვებისთვის მზად უნდა ყოფილიყო ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამა, რომელშიც ერთ-ერთი უმთავრესი ნაკრების მწვრთნელის საკითხი იქნებოდა. პროგრამა არსად ჩანს, ისევე, როგორც მწვრთნელი. ისე, არც ამ პროგრამის დასაფინანსებლად ან მწვრთნელის ჩამოსაყვანად საჭირო ფული ჩანს სადმე.

ჩვენ კი დაჟინებით ვაგრძელებთ შავი კატის ძებნას ბნელ ოთახში, თანაც დაზუსტებით ვიცით, რომ კატა იქ არ იმყოფება.

ბავშვური თამაშია — „ბოლია, ბოლია“...

**გიორგი ნოზაძე**

SMS: და თქვენ ამბობთ, რომ უკვე ოთ? არა, ჯერ კიდევ ტოთ!



გიო ახვლედიანის

სვეტი

## ტოპი და სხვა

კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშვნა არც ისე იოლი ყოფილა, როგორც თავიდან ჩანდა.

ჩვენ ჯერ კიდევ არ აღმოგვიჩენია სამყარო, რომელში ცხოვრებასაც ვაპირებთ.

შეიძლება აღშფოთდე კიდეც, კაცი წელიწადში ლამის ორ მილიონს ითხოვს თავისთვის და თავისი შტატისთვის, სანაცვლოდ კი არაფრის გარანტიას იძლევა.

სხვანაირად — ის მხოლოდ ნამდვილი ფეხბურთის გარანტიას იძლევა.

ანუ, ჩვენმა ღატაკმა მხარემ საიდანღაც უნდა მოიტანოს ოცი ტომარა ფული და სანაცვლოდ არც იცოდეს, რომ ფერფლიდან აღდგება ქართული ფეხბურთის სახელი და დიდება?

რა თქმა უნდა, ჩვენი ტრადიციებიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე, მძიმე წინადადებაა.

მაგრამ, მთავარი ასეთ შემთხვევაში ის არის, რომ ტოპსიგან არის ერთადერთი გარანტია — ნამდვილი ფეხბურთი და ჩვენ რომ გვიყვარს, ისეთი ფეხბურთი. ნამდვილს იქით კი უკვე ბედია და თუ ბედი გაქვს, ცოტ-ცოტა და ნელა-ნელა ყველაფერი იქნება.

თუმცა, ესეც გვარიანი გასარისკია ჩვენებური თვალთახედვით.

მაგრამ კარგი ქართველური თვალთახედვით, სულაც არ არის გასარისკი. საქმე სხვაა: იქნება თუ არა ფული. არის სხვა ვარიანტიც: ჩამოდის სრეჩკო კატანეცი. ვარაუდობენ, რომ ის ნაკლებს მოითხოვს. ცხადია, ესეც ვარიანტია და ესეც მწვრთნელია. მკაცრი და უბრალო თამაში აქვს და ბევრი რამეც გამოსვლია.

აქ ასარჩევია, რა გვინდა: ის ფეხბურთი, რომელიც მოგვენატრა, თუ ის ფეხბურთი, რომლითაც ვებ რამე გავახერხოთ. ორივე შემთხვევაში უმაღლესი მიზანი ძალიან რთულია და ერთი დაკვრით არაფერი გამოვა. ანუ, გარანტიის მომცემი არც სრეჩკოა და საერთოდ, ვინც ასეთ ვითარებაში გარანტიას იძლევა, ის, უბრალოდ, იტყუება.

მოკლედ, ფულის ამბავიც არის და სხვა ათასი რამისაც.

ავირჩიოთ მწვრთნელი და მერე ვუყუროთ.

ეს არჩევა გაჭირდა, თორემ... ბიჭები ბდღვნიან ყველაფერს (როგორც ერთ ქართულ ფილმშია). ბდღვნიანა?

ღმერთმა ქნას.

# საქართველოში მაგარი სიჩუმეა

## ბავშვები თაღლითობას, უცოდინარობას და ცდუნებას ეწირებიან

*ქართულ ფეხბურთში აღარ მოდიან ახალი ქინქლაძეები, ქეცბაიები, ჯამარაულები, არველაძეები... აქ არ არის ლაპარაკი ნიჭიერი ფეხბურთელების მთელ პლეადაზე, უბრალოდ, ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები საქართველოში ძალიან ძნელად მოდიან, რაც პირველ რიგში ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში არსებული ვითარების ბრალი უნდა იყოს. ...33 წლის გიორგი დევდარიანი ახლა უმაღლესლიგელ „თბილისს" წვრთნის, სადაც ადრეც უმუშავია, მანამდე კი ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობდა და ჩვენც მეტწილად ბავშვთა ფეხბურთზე ვესაუბრეთ...*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

— მიგაჩნიათ, რომ ბავშვთა ფეხბურთში შექმნილი სიტუაცია ყველაზე უფრო ამ სფერში ფესვგადგმული თაღლითობის, ანუ საფეხბურთო სკოლებში ბავშვთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის ბრალია?

— თაღლითობის და უცოდინრობის. საქართველოში ჩამოდიან უცხოელი სპეციალისტები და გვეუბნებიან, რომ 12 წლამდე ბავშვებში ტურნირები არ უნდა გაიმართოს და ამ ასაკამდე ბავშვებმა მხოლოდ მინი-მოედნებზე უნდა ითამაშონ. ეს უცხოელი სპეციალისტები ჩვენთან ფეხბურთის ფედერაციას ჩამოჰყავს, მაგრამ მერე თვითონ ფედერაცია მართავს ტურნირებს ამ ასაკის ბავშვებში. დიდ ანუ სტანდარტულ მოედანზე 14 წელს გადაცილებულმა ბავშვებმა უნდა ითამაშონ, მანამდე კი სტანდარტულ მოედანზე თამაში ზრდის ბავშვის გულის მოცულობას, რაც ხშირად კარდიოლოგიური დაავადებების მიზეზი ხდება. მოკლედ, მეც მაინტერესებს — ყველაფერი თაღლითობით ხდება თუ უცოდინრობით? სამწუხაროდ, მარტო ტოპმიოლერის თუ კაპელოს ჩამოყვანა სიტუაციას ვერ შეცვლის — ასეთ ცუდ დღეში ქართული ფეხბურთი არასდროს ყოფილა.

— თაღლითობენ მაშინაც კი, როცა საქმე ბავშვების ჯანმრთელობას ეხება?

— მედიცინის გარეშე ბავშვთა ფეხბურთიც აღარ არსებობს, ჩვენთან კი არანაირი კვლევითი თუ სარეაბილიტაციო ცენტრები არაა, ჩვენში საფეხბურთო მედიცინა წინა საუკუნის 60-იანი წლების იქით არ წასულა.

— ადრეულ ასაკში ტურნირების სტანდარტულ მოედანზე გამართვა მხოლოდ ჯანმრთელობის მხრივაა სახიფათო?

— როცა მშობელს შვილი ფეხბურთზე შეჰყავს, ფინანსურ გათვლებს აკეთებს და თუ ეტყვი, რომ მის ბავშვს მონაცემები არ აქვს, მტრად გთვლის. ერთი სიტყვით, იმის ნაცვლად, რომ ბავშვმა საფეხბურთო ფანტაზია გამოავლინოს, ან მწვრთნელის უაზრო დავალებების შესრულებით იშტამპება ან მშობლის მითითებებით თამაშობს. მშობლისთვის ტურნირის წაგება ტრაგედიაა და შევსწრებივარ კიდეც ისეთ ფაქტს, როცა ტურნირზე მარცხის შემდეგ მშობელს შვილი გაულახავს. ხშირად ბავშვი ძალით დადის ფეხბურთზე. ტურნირში გამარჯვებული მწვრთნელი კი მშობელთა სიმპათიას იმსახურებს, ყველას უნდა, მასთან მიიყვანოს ბავშვი და, შესაბამისად, ამ მწვრთნელის გუნდში ბევრი ბავშვი ანუ ბევრი ფული მიდის. ისიცაა, რომ ჩვენში რვა-ათი წლის ბავშვებს უკვე ყოფენ ნიჭიერებად და უნიჭოებად, არადა, ასეთ ასაკში ასეთი რამის დადგენა შეუძლებელია.

— და რა რეცეპტს შესთავაზებდით ჩვენს ბავშვთა ფეხბურთს?

— ამას ერთი კაცის ტვინი არ ეყოფა. ვერ ვხედავ ინიციატივას, სალაპარაკოდ დავსხდეთ და დისკუსია გავმართოთ. საქართველოში მაგარი სიჩუმეა. ისიც ვიკითხოთ, ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელებს რატომ არ აგზავნის სტაჟირებაზე უცხოეთში ან რა კრიტერიუმით უნდა მოხდეს ეს? სხვანაირად როგორ უნდა განვითარდეს ფეხბურთი საქართველოში? ისიც საკითხავია, ბევრია საქართველოში ჩემი ასაკის მწვრთნელი? მე პირადი კონტაქტებით ვცდილობ, მეტი ცოდნა შევიძინო და A ლიცენზია ავიღო.

— ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებზე რას იტყოდით?

— თუ ნაკრებში თამაში გინდა, ჩემს გუნდში გადმოდით — აი, ასეთი სახე მიიღო ყველაფერმა. ნაკრებში თამაშზე ცდუნებით ხდება ფეხბურთელების კლუბებიდან ერთ კლუბში გადაბირება.

— მერე?

— რაც დამწყებ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ვუყურებ, იმის თქმა შემიძლია, რომ თითქმის ყველა ერომანეთს ჰგავს...

**დავით თავართქილაძე**

# რუბინი რუბიკონი აღარ არის?

## რევიშვილის ყაზანური

**ყაზანის** „რუბინს" უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ქართველი შეემატება. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ქუთაისის „ტორპედოს" 18 წლის მეკარე ნუკრი რევიშვილი მომავალ სეზონში რუსეთის სათათრეთში ითამაშებს.

„რუბინის" ინტერესი ქართველი ფეხბურთელებისადმი ახალი არ არის და, მით უმეტეს, არც ახლა გვაკვირვებია, რომ საბერძნეთის ნაკრებთან კარგად ჩატარებული მატჩის შემდეგ ყაზანელები ჭაბუკი მეკარით დაინტერესდნენ...

თუმცა, რომელ დაინტერესებაზეა ლაპარაკი, როცა ნუკრი რევიშვილის „რუბინში" ჩარიცხვას ოდენ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლია.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ჰიდინკმა ნეესკენსს მსოფლიო დაანახა

**54 წლის** ჰოლანდიელ მწვრთნელ იოჰან ნეესკენსს თანამემამულე გუს ჰიდინკმა ავსტრალიის ნაკრებში თანაშემწეობა შესთავაზა და თანხმობაც მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალია გაის ზაფხულში გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს და, ბუნებრივია, ნეესკენსიც სამუნდიალოდ გუნდის მომზადებაში დაეხმარება ტიტულოვან კოლეგას.

ეს ცნობა ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ამ ცოტა ხნის წინ ნეესკენსი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა...

**კახა ზალამბერიძე**



ტორპედო

# ტრადიცია მწამს, შედეგი მაკვირვებს

## ჯეოსელში ჩაურთველი ტორპედო

**სამადლოდ** შეკრებაგავლილმა და კვირაში მხოლოდ ორი-სამი დღით მოვარჯიშე „ტორპედომ" წინა ჩემპიონატი მეორე ადგილზე ჩაამთავრა, მალევე გუნდი ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და უეფას თასზე ბელარუსულ ბატე-სთან მატჩების წინ ქუთაისელ ქომაგებს ხელი ჩაქნეული ჰქონდათ — რა გასვლაზე იყო ლაპარაკი, „ტორპედო" ძლივს შეკოწიწდა, მეტწილად ჭაბუკი ფეხბურთელებით. 0:1 და 0:5 — ასე სამარცხვინოდ დაასრულა „ტორპედომ" უეფას თასზე თამაში, თუმცა აკი ვთქვით, მეტის იმედი არც არავის ჰქონდა.

ამ სეზონის დაწყებამდე კი ქუთაისში დიდი ამბები მოხდა: კლუბი გაკოტრდა, ძველი მფლობელები „ტორპედოდან" წავიდნენ და ჩამოყალიბდა ახალი სუბიექტი, შპს „ტორპედო ქუთაისი", თავდაპირველი მოლაპარაკებებით კლუბის 40 პროცენტი ქართული ფესვების მქონე თურქი ბიზნესმენის, იბრაჰიმ ართვინლისა უნდა ყოფილიყო, 60 პროცენტი კი გრიგოლ ხურციძისა.

მოგვიანებით კი, ართვინლის უარის შემდეგ, 40-პროცენტიანი წილი მის წარმომადგენელ ვლადიმერ კაკაურიძეს დარჩა, ხოლო პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე გახდა.

„ტორპედოს" ქომაგობა სწორედ გრიგოლ ხურციძისკენ იშვერდა ხელს, მის ხელში კლუბს სახეირო არაფერი ელის და დროზე უნდა მოვაშოროთ ეს კაციო, თუმცა ფეხბურთელები სხვაგვარად ამბობენ, ხურციძე გასახდელშიც კი ჩვენთან ერთადაა, რჩევა-დარიგებებს არ გვაკლებს და, რაც შეუძლია, ყველაფერს აკეთებსო...

დღევანდელი „ტორპედოს" რეალობა მეთორმეტე ადგილია და ისიც ბოლო შვიდ-რვა ტურში აკრეფილი ქულების ხარჯზე, თორემ მანამდე „ტორპედომ" ხუთი თამაში ისე ჩაატარა, კინკილა გოლიც კი ვერ შეაგდო. მოთმინების ფიალა „სოხუმთან" საშინაო თამაშში აივსო, როცა იმერლები 0:2-ს აგებდნენ და მეორე ტაიმში ოთხი უპასუხო ბურთი შეაგდეს. აქედან დაიწყო გამოლვიძება, „ტორპედო" ნელნელა მოვიდა იშტაზე, მეზობელ ზესტაფონში მოგებასთანაც კი ახლოს იყო, როცა 33 წლის დავით ჯანაშიას ლამაზი გოლით დაწინაურდა და ოდენ პენალტით გაუშვა მეორე ტაიმში.

ჰო, პენალტის ხსენებაზე: „ტორპედო" საკმაოდ ბევრჯერ დასაჯეს 11-მეტრიანით, მათ შორის ერთხელ „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო მატჩში, რომლის შემდეგ ქუთათურთა თავკაცი რევაზ ბურკაძე მსაჯებს გაუწყრა. ისე კი, ჩვენი აზრით, სწორედ ლიდერ ვიტელებთან ჩაატარა „ტორპედომ" პირველი წრის საუკეთესო მატჩი.

„ტორპედოს" ჰყავს ეროვნული, ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების მთავარმეკარე ნუკრი რევიშვილი. იგი უკვე ყველაზე საინტერესო სატრანსფერო ფიგურად იქცა. ყაზანის „რუბინი" და კიდევ რამდენიმე რუსული თუ უკრაინული კლუბი აპირებს მის გადაყვანას, მაგრამ ნუკრი არ ჩქარობს, უცხოეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ თამაშის საშუალებას მომცემენო. რევიშვილს უკვე ისე ენდობიან „ტორპედოში", რომ „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო მატჩში პენალტის დარტყმაც იკისრა (სხვა საქმეა, რომ ვერ გაიტანა)...

ისე კი, რევაზ ბურკაძეს ბევრჯერ უთქვამს, ნიჭიერი ბიჭი ბევრი მყავს, მაგრამ არასტაბილურები არიანო.

აბა, სადაც „ტორპედოა", იქ დავით ჯანაშიაზე როგორ არ ვთქვათ. ამ კაცმა საუკეთესო წლები კარგა ხნის წინ მოილია, მაგრამ ქუთათურთა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა არაერთხელ თქვეს, „ჯანოსგან" ძალიან ბევრს ვსწავლობთო.

დაცვის ხაზში შედარებით გამოცდილი რატი ბარაბაძე, ნახევარდაცვაში კი გამთამაშებელი ავთო ფოფხაძე და მარჯვენაფლანგელი კობა შალამბერიძე უნდა გამოვარჩიოთ.

დაბოლოს, ისევ „ტორპედოს" ხაზინას შემოვუაროთ. გავრცელდა ხმები, „ჯეოსელის" სპონსორობის გარდა კლუბს ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვი ყიდულობსო. ხმები ხმებად დარჩა, „ტორპედო" კი დარჩა და დარჩება ტრადიციებით მდიდარ ქართულ გუნდად და სწორედ ეს გვტკენს გულს, რომ ქუთაისი უფრო მაღალი დონის ფეხბურთს იმსახურებს...

**ილია ნანობაშვილი**



კობა შალამბერიძე და მისი თანაგუნდელები თამაშ-თამაშ უმატებდნენ



„ტორპედოს" შეტევებს ხშირად ავთანდილ ფოფხაძე იწყებდა

**პირველი ტური**
1 აგვისტო, ორშაბათი
ტორპედო 0:1 ამერი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
ტორპედო 0:0 ლოკომოტივი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
დილა 2:0 ტორპედო

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
ტორპედო 0:1 ბათუმი

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
კოლხეთი 1:0 ტორპედო

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
ტორპედო 4:2 სოხუმი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
კახეთი 1:0 ტორპედო

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
ტორპედო 1:0 თბილისი

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
ზესტაფონი 1:1 ტორპედო

**მეათე ტური**
23 ოქტომბერი, კვირა
ტორპედო 0:2 დინამო

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ცხინვალი 0:0 ტორპედო

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
ტორპედო 2:2 ვიტ ჯორჯია

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ბორჯომი 1:0 ტორპედო

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
ტორპედო 1:0 სპარტაკი

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
სიონი 3:1 ტორპედო






დავით ჯანაშია და მერაბ ძოძუაშვილი

მეგოლეები
2 — დავით ჯანაშია
მერაბ ძოძუაშვილი
1 — კობა შალამბერიძე
ავთო ფოფხაძე
ლევან მდივნიშვილი
კახა სვანიძე
მამუკა ლონლაძე
რატი ბარაბაძე

**ტორპედო პირველ წრეში**
15 თამაში, 3 მოგება, 4 ფრე, 8 წაგება, ბურთები 10:17, 13 ქულა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




ზაზა ფაჩულია და ნიუიორკელები

# გაფაჩუნდა

## ზაზა ფაჩულიას გუნდმა ლარი ბრაუნისა ჩააჩუმა

16 დეკემბერი

**ატლანტა 122:111 ნიუ იორკი**

ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (36), სმიტი (6 ქულა, 8 დაფარება), ჰარინგტონი (35), ფაჩულია (30 წუთი, 9 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება); სტუდემაიერი (13), უილიამსი (9), ჩილდრესი (8), ლუ (4), ედვარდსი, ტომასი

ნიუ იორკი: მარბერი (21), რიჩარდსონი (6), არიზა (6), ფრაი (14), ჯეიმსი (5); კროუფორდი (23), როუზი (8), ტეილორი (8), ვუდსი (8), დევისი (8), რობინსონი (5), ბატლერი

**ტორონტო 98:108 გოლდენ სტეიტი**

ტორონტო: ბოში (26), ჯეიმსი (19), ვილანუევა (18), კალდერონი (15 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (23), ფიშერი (21), დევისი (20 ქულა, 11 პასი), მერფი (20)

**ინდიანა 93:83 იუტა**

ინდიანა: ონილი (27 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება), კროშერი (16), ჯექსონი (16)

იუტა: ოქური (19 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (14), კირილენკო (11 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა)

**ბოსტონი 96:100 მილუოკი**

ბოსტონი: პირსი (23 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), ბლუნტი (14), დევისი (14)

მილუოკი: რედი (24), უილიამსი (24), ფორდი (19)

**ნიუ ჯერსი 115:106 დენვერი**

*ძირითადი დრო 94:94*

ნიუ ჯერსი: კარტერი (34 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), ჯეფერსონი (21), კრსტიჩი (17 ქულა, 11 მოხსნა), კიდი (15 ქულა, 16 პასი, 7 მოხსნა)

დენვერი: მილერი (22 ქულა, 13 პასი), ენტონი (20), უოტსონი (18), მარტინი (16), ჯონსონი (16)

**ფილადელფია 105:112 მაიამი**

ფილადელფია: აივერსონი (35), ვებერი (23)

მაიამი: ვეიდი (32), ონილი (21 ქულა, 13 პასი), უოლკერი (16)

**დეტროიტი 110:82 ჩიკაგო**

დეტროიტი: რ. ვოლესი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჰამილტონი (18), ბილაფსი (15)

ჩიკაგო: დუჰონი (13), დენგი (11)

**ნიუ ორლეანი 88:101 ფინიქსი**

ნიუ ორლეანი: პოლი (25), ბრაუნი (20 ქულა, 13 მოხსნა)

ფინიქსი: ჰაუსი (26), მარიონი (21 ქულა, 15 მოხსნა, 5 დაფარება), ნეში (18 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ტომასი (16)

**დალასი 109:103 ორლანდო**

*ძირითადი დრო 93:93*

დალასი: ნოვიცკი (31), ჰოვარდი (24), ტერი (22), ჰარისი (18)

ორლანდო: ჰილი (28), თურქოღლუ (17), ფრენსისი (16)

**პორტლენდი 99:111 სიეტლი**

პორტლენდი: რენდოლფი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ბლეიკი (19 ქულა, 13 მოხსნა), ხრიაპა (19)

სიეტლი: ლუისი (37), ალენი (24), რიდნორი (16)

**ლეიკერსი 97:91 ვაშინგტონი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (41), ოდომი (14 ქულა, 11 მოხსნა), ჯორჯი (13)

ვაშინგტონი: არენასი (29), ბატლერი (20)

17 დეკემბერი

**კლიპერსი 89:81 ჰიუსტონი**

კლიპერსი: კასელი (22), ბრენდი (20), მობლი (18)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (29 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), მინი (20)

**ნიუ იორკი 96:102 ინდიანა**

ნიუ იორკი: მარბერი (25), კროუფორდი (15)

ინდიანა: ონილი (31), ტონსლი (23), იასიკევიჩუსი (18)

**კლივლენდი 115:107 მაიამი**

კლივლენდი: ჯეიმსი (41 ქულა, 10 პასი), მარსჰალი (25 ქულა, 13 მოხსნა), ჰიუზი (20)

მაიამი: ვეიდი (33), მურნინგი (14), პოუზი (13), ონილი (10)

**შარლოტი 78:103 დეტროიტი**

შარლოტი: ბრეჟეცი (17), ოკაფორი (14 ქულა, 13 მოხსნა)

დეტროიტი: ბილაფსი (21 ქულა, 12 მოხსნა), ჰამილტონი (15), პრინსი (14), ბ. ვოლესი (13 ქულა, 13 მოხსნა, 4 დაფარება)

**მემფისი 91:87 ფინიქსი**

მემფისი: მილერი (14 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (14), ბეტიე (13)

ფინიქსი: ჰაუსი (21), ნეში (19), მარიონი (16 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)

**მილუოკი 80:88 იუტა**

მილუოკი: რედი (19), ფორდი (16), მალუა (14 ქულა, 16 მოხსნა)

იუტა: ოქური (14 ქულა, 14 მოხსნა), გირიჩეკი (14), უილიამსი (14), ბრაუნი (13)

**ჩიკაგო 118:86 ბოსტონი**

ჩიკაგო: სვიტნი (24), დუჰონი (22), ნოჩიონი (16), სონგაილა (16)

ბოსტონი: დევისი (21), პირსი (20)

**სან ანტონიო 90:89 საკრამენტო**

სან ანტონიო: პარკერი (25 ქულა. 12 პასი, 6 მოხსნა), დანკანი (24 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება), ფინლი (16)

საკრამენტო: აბდურ-რაჰიმი (25), ბიბი (21), მილერი (13 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), სტოიაკოვიჩი (13)

**აშკარად** ვერ მისდის საქმეები ლარი ბრაუნს „ნიუ იორკში“ და ამის თქმის საფუძველს მისი მოყამული სახე კი არა, მისი გუნდის გაუთავებელი წაგებები გვაძლევს. „ნიქსმა“ ასოციაციის ერთ-ერთ უარეს გუნდთან, „ატლანტასთანაც“ კი წააგო და ზედიზედ მარცხების სერია ხუთამდე გაზარდა.

რაც შეეხება „ატლანტას“, ზაზა ფაჩულიას გუნდი თვალსა და ბურთს შუა იზრდება და მიყოლებით ყლაპავს მეტოქეებს ბოლო ოთხ შეხვედრაში მესამე გამარჯვება ჩაიწერა და 15-გუნდა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-15 ადგილი „ტორონტოს“ გადაულოცა.

„ნიუ იორკთან“ შესანიშნავად იბურთავა „ქორების“ ორმა ლიდერმა — ალ ჰარინგტონმა და ჯო ჯონსონმა. ორივე ასცდა 30-ქულიან თამასას, ამასთან, ჯონსონისთვის 36 ქულა ხუთწლიან კარიერაში სარეკორდოდ ბევრი იყო.

მოკლედ, ეს ორი თითქმის ვარსკვლავი ნიუიორკელებს კალათს უვსებდა, სხვა ატლანტელები კი მეორეხარისხოვან როლს შესანიშნავად ასრულებდნენ და ნაღდი გუნდური თამაშიც აჩვენეს — მაგალითად: ჰაწუა ახალბედა სალიმ სტუდემაიერმა 13 ქულა დააგროვა, წინა სეზონში ჩატენვების კონკურსის მომგებმა ჯოშ სმიტმა 9 დაფარება(!!!) გააკეთა, ხოლო ზაზა ფაჩულიამ მეტოქის ფარზე 6 ბურთი მოხსნა და საერთოდაც, ორივე გუნდში ყველაზე მეტი ბრძოლა მოიგო ფარზე. გარდა ამისა, ზაზამ 5 პასიც გასცა, რითაც თავისიანთა შორის ამ მხრივ ყველაზე შედეგიან ჯონსონს გაუტოლდა.

მოკლედ, თავი რომ არ შევაწყინოთ, „ატლანტამ“ გუნდური თამაშით ულაპარაკოდ აჯობა ლარი ბრაუნის გუნდს — პირველივე წამებიდან დაწინაურდა და ახლოსაც არ გაიკარა მეტოქე. მესამე მეოთხედში, როცა სხვაობამ 18 ქულას უწია, ისედაც ნერვებმოშლილმა ნიუიორკელებმა სულ დაკარგეს თავი. ბებერი ნიუიორკელი ცენტრი ანტონიო დევისი და ზაზა ფაჩულია ერთმანეთში წაკინკლავდნენ კიდეც და მსაჯებმა ორივე ტექნიკურით „დაამშვიდა“, ტუმ ამით ვერა ეშველა „ნიქსს“, რომელმაც ბოლო მეოთხედი 30:25 კი მოიგო, მაგრამ ეს ვერ ეყო.

სხვათა შორის, „ატლანტას“ შავკანიანი თავკაცი მაიკ ვუდსონი სწორედ ლარი ბრაუნის ასისტენტი იყო ჯერ „ფილადელფიაში“ და შემდეგ უკვე „დეტროიტში“ და ამ ღვაწლმოსილ სპეციალისტს 2004 წელს ამ მეორის გაჩემპიონებაშიც დაეხმარა. ბრაუნთან პრაქტიკაგამოვლილმა ვუდსონმა მას შემდეგ „თავისი საქმე“ წამოიწყო, „ატლანტაში“ მთავარ მწვრთნელად მივიდა და მიუხედავად იმისა, რომ მის ხელში ეს გუნდი გაცილებით მეტჯერ მარცხდება, ვიდრე იმარჯვებს, მას ჯერ არავინ უპირებს გაგდებას.

ძალიან საინტერესო გამოდგა პარასკევს ღამით ორლანდოში გამართული მატჩი, რომელშიც სტუმარმა „დალას მავერიკსმა“ მასპინძელი „მეჯიქი“ ოვერტაიმში დაამარცხა.

ორიოდ დღეა, რაც „ორლანდოს“ მუდამტრავმიანი გრანტ ჰილი დაუბრუნდა და, მიუხედავად იმისა, რომ მან სადებიუტო მატჩში „ნიუ იორკთან“ მხოლოდ 7 ქულა გააკეთა, „მეჯიქმა“ მაინც იმარჯვა. „დალასთან“ კი ფლორიდელებს ჰილის 28 ქულამაც ვერ უშველა.

ორლანდოელები მოხერხებულად აუვნებლებდნენ „მავერიკსის“ ლიდერ დირკ ნოვიცკის, მაგრამ მხოლოდ პირველი სამი მეოთხედი, მერე კი გერმანელმა აიწყვიტა და მართალია, ბოლო წამებზე მაინც გაუცუდდა მნიშვნელოვანი ტყორცნა და ამით შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა, მაგრამ იქ პირდაპირ წალეკა მეტოქეები, დამატებით ხუთწუთეულში დირკმა 10 ქულა გამოაცხო და ოვერტაიმი 16:10 მოაგებინა ტეხასელებს.

ლოს ანჯელესში კიდევ მეტი მოისხა კობი ბრაიანტმა. მისმა 41 ქულამ „ლეიკერსს“ „ვაშინგტონი“ დაამარცხებინა და ზედიზედ მესამედ, ბოლო 10 თამაშში კი მერვედ მოაგებინა.

ერთი სიტყვით, „გუნდი-ჰოლივუდი“ კობის, უფრო კი ალბათ მაინც მწვრთნელ ფილ ჯექსონის წყალობით თანდათან აზრზე მოდის.

პარასკევსვე „სიეტლი“ ლამის მოსაკლავად მიუხდა „მოსისხლე“ „პორტლენდს“, სადაც სეზონის დაწყებამდე გაექცა მწვრთნელი ნეიტ მაკმილანი. სიეტლელებმა ყოფილ თავკაცს თავიდანვე აგრძნობინეს, რომ მას მაგრად შეეშალა, „სონიქსი“ „ბლეიზერსზე“ რომ გაცვალა. მაკმილანის ძველმა შეგირდთაგანმა რაშარდ ლუისმა თავისი 37 ქულიდან 20 პირველ მეოთხედში აჯახა მის ახალ შეგირდებს და ეს 12-წუთეული 37:16 მოაგებინა. მერეც ერთი ხანობა „სიეტლი“ 33 ქულასაც უგებდა „პორტლენდს“, მაკმილანმა კი ისღა მოახერხა, „ბლეიზერსი“ ასე სამარცხვინო მარცხს აარიდა.

**ძოტე ყორშია**




ატლანტელმა ალ ჰარინგტონმა „ნიუ იორკის“ კალათი მოაოხა

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 12 | 12 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 12 | 45,5 |
| ბოსტონი | 9 | 14 | 39,1 |
| ნიუ იორკი | 6 | 17 | 26,1 |
| ტორონტო | 4 | 19 | 17,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 18 | 3 | 85,7 |
| ინდიანა | 14 | 8 | 63,6 |
| მილუოკი | 13 | 9 | 59,1 |
| კლივლენდი | 13 | 9 | 59,1 |
| ჩიკაგო | 12 | 11 | 52,2 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 14 | 11 | 56,0 |
| ვაშინგტონი | 9 | 12 | 42,9 |
| ორლანდო | 9 | 12 | 42,9 |
| შარლოტი | 6 | 18 | 25,0 |
| ატლანტა | 5 | 17 | 22,7 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 19 | 4 | 82,6 |
| დალასი | 17 | 6 | 73,9 |
| მემფისი | 14 | 8 | 63,6 |
| ნიუ ორლეანი | 10 | 13 | 43,5 |
| ჰიუსტონი | 9 | 13 | 40,9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 12 | 9 | 57,1 |
| დენვერი | 12 | 12 | 50,0 |
| იუტა | 11 | 13 | 45,8 |
| სიეტლი | 10 | 12 | 45,5 |
| პორტლენდი | 6 | 16 | 27,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| კლიპერსი | 19 | 4 | 65,2 |
| ფინიქსი | 14 | 9 | 60,9 |
| გ. სტეიტი | 14 | 9 | 60,9 |
| ლეიკერსი | 13 | 10 | 56,5 |
| საკრამენტო | 10 | 14 | 41,7 |

## მსოფლიოს თასი

# შამინდობა მთავარ დაბრკოლებად იქცა



AFP ვალ დისერიდან

ამერიკელი ლინდსი კილდოუ სეზონში მეორე გამარჯვებას ზეიმობს

**სამთო-მოთხილამურეებმა** ამჯერად უკვე ევროპაში მოიყარეს თავი. ქალები ფრანგულ ვალ დისერეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, კაცები კი — იტალიურ ვალ გარდენაში.

კაცების შეჯიბრებით დავიწყოთ, რომლებსაც ამინდმა დიდი სირთულეები შეუქმნა. იტალიაში ჩამოწოლილი ნისლი და ძლიერი ქარი მოთხილამურეებს ძალიან უშლიდა ხელს, რის გამოც შეჯიბრების მეორე დღეს დაშვების ტრასა საერთოდ შეამოკლეს.

მანამდე, პარასკევს, სუპერ გიგანტის მორიგი ეტაპი გათამაშდა, რომელიც მოლოდინისამებრ ავსტრიელის გამარჯვებით დასრულდა. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ავსტრიელის — ჰანს გრუგერის — გამარჯვებას არავინ ელოდა. ის არც აქამდე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტაბილურობით და აქაც მის შემდეგ კიდევ 14 მოთხილამურე უნდა გამოსულიყო ტრასაზე, მაგრამ გრუგერის შედეგი მაინც ყველასთვის მიუღწეველი აღმოჩნდა.

„მიჭირს ამის დაჯერება. კარგად გავიარე ტრასა და ვფიქრობდი, რომ პოდიუმზე ნამდვილად დავიკავებდი ადგილს, აი, გამარჯვება კი მაინც მოულოდნელი იყო" — თავადაც გაკვირვებული ჩანდა გრუგერი.

უფრო დიდი მოულოდნელობა იყო შაბათს დაშვებაში ლიხტენშტეინელი მარკო ბიუხელის გამარჯვება. თუმც კი, როგორც მოგახსენეთ, ამინდის გამო ტრასა შეამცირეს, რასაც ზოგიერთმა მოთხილამურემ ალბათ ალღო ვერ აუღო. ბუჩელმა მხოლოდ 0.02 წამით აჯობა ძლიერ ავსტრიელ მიხაილ ვალჰოფერს. ლიხტენშტეინელმა მოთხილამურემ მხოლოდ ის თქვა, ეს ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო დღეაო.

კიდევ ერთ მოულოდნელობად იტალიაში კანადელი ერიც გუაის კარგი გამოსვლა იქცა, რომელიც ორჯერვე საპატიო კვარცხლბეკზე აღმოჩნდა — სუპერგიგანტში მეორე, დაშვებაში კი მესამე შედეგი აჩვენა.

საერთო ჩათვლაში ამ ორი დღის შემდეგ კვლავაც ამერიკელი ბოდე მილერი ლიდერობს. მან სუპერგიგანტის შემდეგ ერთი დღით პირველი ადგილი ნორვეგიელ აქსელ ლინდ სვინდალს დაუთმო, რომელმაც შაბათს ცუდად იასპარეზა და პირველ პოზიციაზეც ისევ მილერი წამოსკუპდა.

ამინდი ფრანგულ ვალ დისერეშიც ჭირვეულობდა, სადაც ერთმანეთს ქალები ეჯიბრებოდნენ დაშვებაში. ამის გამო ასპარეზობის დაწყება 90 წუთით გადაიდო და საბოლოოდ 63 მონაწილიდან მხოლოდ 47-მა მოახერხა სტარტის აღება. მიუხედავად ამისა, შედეგები მაინც დაფიქსირდა და მოთხილამურეებსაც შესაბამისი ქულები ჩაეწერებათ. გაიმარჯვა ახალგაზრდა, 21 წლის ამერიკელმა ლინდსი კილდოუმ, რომელმაც სეზონში უკვე მეორედ მოიგო დაშვება და ამ დისციპლინის საერთო ჩათვლაში უფრო გაიმყარა ლიდერობა. მეორე ადგილი კიდევ ერთმა ამერიკელმა — კაროლინ ლალივმა დაიკავა.

ძალიან უკმაყოფილო იყო საერთო ჩათვლის ლიდერი, ავსტრიელი მიკაელა დორფმაისტერი, რომელმაც მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა:

„ასეთ პირობებში შეჯიბრი არც ერთ ვარიანტში არ უნდა შემდგარიყო. ეს დიდი უსამართლობაა. რომელ საპრიზო ადგილზეა ლაპარაკი, იმაზეც მადლობელი ვარ, ფინიშამდე მშვიდობით რომ ჩავაღწიე".

სამაგიეროდ, არაფერს უჩიოდა გამარჯვებული კილდოუ:

„ძალიან რთულ პირობებში მოგვიწია ასპარეზობა. ეს ისედაც ტრავმასაშიში ტრასაა, დღეს კი ორმაგად რთული იყო აქ გამოსვლა. ამიტომ ამ გამარჯვებასაც განსაკუთრებული ფასი აქვს".

დორფმაისტერი უკმაყოფილო კი იყო, მაგრამ საერთო ჩათვლაში ის 366 ქულით კვლავაც პირველ ადგილზეა. ხოლო შაბათის ტრიუმფატორმა კილდოუმ კი მეორე პოზიციაზე აინაცვლა და ახლა 322 ქულა აქვს. მესამეზე კიდევ ერთი ავსტრიელი, ალექსანდრა მაისნიცერია 320 ქულით.

**ძაბა ლომაშვილი**



AFP ვალ გარდენიდან

მარკო ბუჩელმა ეს წუთია საუკეთესო შედეგი აჩვენა

### კაცები

*იტალია. ვალ გარდენა*

**სუპერგიგანტი**

1. ჰანს გრუგერი (ავსტრია) — 1.37,35
2. ერიკ გუაი (კანადა) — 1.37,66
3. ამბროსი ჰოფმანი (შვეიცარია) — 1.37,67
4. ჩეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1.37,69
5. აქსელ ლინდ სვინდალი (ნორვეგია) — 1.37,79

**დაშვება**

1. მარკო ბუჩელი (ლიხტენშტეინი) — 1.27,99
2. მიხაილ ვალჰოფერი (ავსტრია) — 1.28,01
3. ერიკ გუაი (კანადა) — 1.28,19
4. კრისტიან გედინა (იტალია) — 1.28,42
5. ფრიც შტრობლი (ავსტრია) — 1.28,46

### ქალები

*საფრანგეთი. ვალ დისერი*

**დაშვება**

1. ლინდსი კილდოუ (აშშ) — 1.21,91
2. კაროლინ ლალივი (აშშ) — 1.22,29
3. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) — 1.22,30
4. პეტრა ჰელტიმაიერი (გერმანია) — 1.22,46
5. იანიცა კოსტელიჩი (ავსტრია) — 1.22,48

## მსოფლიოს თასი

### ბიატლონი. კაცები

*ოსრბლი. სლოვაკეთი*

**ინდივიდუალური 20 კმ.**

1. სვენ ფიშერი (გერმანია) — 46.01,5 (0+0+0+0); 2. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) +1.15,6 (0+0+0+0); 3. მიხაილ როში (გერმანია) +1.43,9 (0+0+1+0)

**სპრინტი. 10 კმ.**

1. ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) — 26.52,7 (0+0); 2. მიხაილ როში (გერმანია) +0.05,5 (0+0); 3. სვენ ფიშერი (გერმანია) +0,16 (0+1)

### ქალები

*ოსრბლი. სლოვაკეთი*

**ინდივიდუალური 15 კმ.**

1. სვეტლანა იშმურატოვა (რუსეთი) — 44.27,7 (0+0+0+1); 2. ალბინა ახატოვა (რუსეთი) +1.02,0 (0+1+0+0); 3. ფლორენს ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) +1.43,9 (0+0+0+1)

**სპრინტი. 10 კმ.**

1. ანი-კარი ოლაფსონი (შვედეთი) — 22.11,5 (0+0); 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) +53.5 (0+1); 3. ლილია ეფრენოვა (უკრაინა) +1.10,3 (0+1)

### სათხილამურო რბოლა.

### ქალები

*კანმორე. კანადა*

**10 კმ.**

1. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) — 5.39,0; 2. ბეკი სკოტი (კანადა) +14.09; 3. ევი ზახენბახერ-შტელე (გერმანია) +1.00,50

**15 კმ.**

1. ბეკი სკოტი (კანადა) — 45.02,2; 2. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) +04.69; 3. კლაუდია კუნცელი (გერმანია) +50.90

### კაცები

**15 კმ.**

1. პიეტრო პილერ-კოტრერი (იტალია) — 35.06,8; 2. ვინსენტ ვიტოზი (საფრანგეთი) +14.89; 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) +24.50

**30 კმ.**

1. ტობიას ანგერერი (გერმანია) — 1:18.10,9; 2. ფროდე ესტილი (ნორვეგია) +00.50; 3. იენს ფილბრიხი (გერმანია) +02.00

### ფიგურული ციგურაობა

*ტოკიო. იაპონია.*

*გრანპრი*

### ქალები

1. მაო ასადა (იაპონია) — 189.62 ქულა
2. ირინა სლუტსკაია (რუსეთი) — 181.48 ქულა
3. იუკარი ნაკანო (იაპონია) — 161.82 ქულა

### კაცები

1. სტეფან ლამბელი (შვეიცარია) — 230.10
2. ჯეფრი ბატლი (კანადა) — 214.34
3. დაისუკე ტაკაჰაში (იაპონია) — 212.52

### სპორტული წყვილები

1. ტატიანა ტოლმიანინა-მაქსიმ მარინინი (რუსეთი) — 193.60
2. დან ჟანგი-ჰაო ჟანგი (ჩინეთი) — 186.12
3. ალიონა სავჩენკო-რობინ ჟოლკოვი (გერმანია) — 180.10

### წყვილთა ცეკვები

1. ტატიანა ნავკა-რომან კოსტომაროვი (რუსეთი) — 165.72
2. ელენა გრუშინა-რუსლან გონჩაროვი (უკრაინა) — 154.53
3. მარი-ფრანს დუბრიოლი-პატრის ლაუზონი (კანადა) — 152.36


AFP ოსრბლიდან

კატი ვილჰელმმა სლოვაკეთში ვერ იმარჯვა, სამაგიეროდ საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადავიდა

რეგულარული ჩემპიონატი

# ლემიეს გული ისევ ხელით უჭირავს




მაიკ ფიშერმა (№12) და მისმა „ოტავამ“ „ტორინოს“ სეზონში მეორედ რვა შაიბა გაუტანა

16 დეკემბერი

**ანაჰაიმი 3:4 ლოს ანჯელესი**

*1:1 2:0 0:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 არმსტრონგი (8), 0:2 ბრაუნი (16), 1:2 სიკორა (20), 2:2 მარჩანტი (22), 3:2 ლუპული (30), 3:3 კანკო (46), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: დემიტრა

**ჩეხი** პეტერ კანკო ცნობილი მეგოლის, მაგრამ წლეულს უღიმღამოდ მოთამაშე ლუკ რობიტაილის ნაცვლად აღმოჩნდა „ლოს ანჯელესის“ რიგებში. სულ 5 წუთი დაყო ყინულზე და შაიბა გაიტანა, რომელმაც თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა, მერე კი ბულიტებში სტუმრებმა ივარგეს.

**სან ხოსე 4:1 ვაშინგტონი**

*2:0 1:0 1:1*

1:0 ჩიჩუ (13), 2:0 ჯ. ტორნტონი (17), 3:0 მიხალეკი (23), 3:1 კლაიმერი (48), 4:1 მაკოლი (56)

**ხუთდღიანი** პაუზის შემდეგ, „ვაშინგტონთან“ თამაშში, ჯო ტორნტონმა კვლავ გააგრძელა თავისი მრავალქულიანი სერია და ზედიზედ მეექვსედ შეასრულა თავისი ნორმა: 2 ქულა ერთ მატჩში.

**ჩიკაგო 5:1 სენტ ლუისი**

*2:0 1:1 2:0*

1:0 ჰილბერტი (9), 2:0 ლაპოინტი (19), 2:1 მაკამონდი (31), 3:1 ბელი (37), 4:1 ვორობიოვი (59), 5:1 დაუდი (60)

**პიტსბურგი 3:4 ბუფალო**

*0:0 2:3 1:0 0:1*

0:1 ბრიარი (22), 1:1 უელე (24), 1:2 ჰეხტი (29), 2:2 მელოუნი (38), 2:3 კოტალიკი (40), 3:3 პალფი (58), 3:4 დრური (62)

17 დეკემბერი

**ბუფალო 4:3 პიტსბურგი**

*3:1 1:0 0:2*

1:0 მაირი (4), 2:0 აფინოგენოვი (7), 2:1 კროსბი (11), 3:1 პომინვილი (19), 4:1 დრური (36), 4:2 უელე (41), 4:3 სუროვი (50)

**მიუხედავად** რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებისა, „პიტსბურგმა“ მორიგი ორი თამაში კვლავ წააგო. მოგეხსენებათ, ხუთშაბათს გუნდში ახალი თავკაცი დაინიშნა, მიშელ ტერიენი, რომელმაც 18 წლის სიდნი კროსბი უმალვე კაპიტნის თანაშემწედ აირჩია. „ბუფალოსთან“ ორმატჩიან ჭიდილის პირველ შეხვედრაში „პინგვინების“ რიგებში მარიო ლემიემაც კი ისპარეზა, რომელმაც არითმიის გამო ოთხი თამაში გამოტოვა. სწორედ მის მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გაათანაბრა „პიტსბურგმა“ ანგარაში, თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და ერთი ქულა მაინც ირგუნა. შაბათს ლემიე ბუფალოში იმავე არითმიის გამო ვერ გაფრინდა და ამჯერად „ხმლებმა“ სუფთად იმარჯვეს, მათი მეკარე მარტინ ბირონი კი პირველი გოლკიპერი გახდა ლიგაში, რომელმაც ზედიზედ 13 თამაში მოიგო.

**ოტავა 8:2 ტორონტო**

*1:1 3:0 4:1*

0:1 ჩერკავსკი (5), 1:1 ჰიტლი (19), 2:1 ფიშერი (28), 3:1 რედენი (32), 4:1 სპეცა (38), 4:2 მაკეიბი (46), 5:2 სმოლინსკი (46), 6:2 ალფრედსონი (54), 7:2 ვერმეტი (55), 8:2 კელი (60)

**წლეულს** „ოტავასთან“ ყველა მატჩი „ტორონტოსთვის“ წამებად იქცა. ამჯერადაც სტუმრები ხშირი ჯარიმების გამო დაისაჯნენ მკაცრად, ვინაიდან „ოტოვამ“ 11 ცდიდან 6-ჯერ (!) გამოიყენა რიცხვმრავლობა. თუმცა ამჯერად მარცხი უფრო ტორონტოელთა მეკარე ედ ბელფორის კისერზეა, რომელმაც ერთხელაც ვერ იხსნა გუნდი. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში მეკარეს ცვლიან ხოლმე, მაგრამ პეტ ქუინმა რატომღაც ბოლომდე აწამა „არწივი“ ედი და ეს იმით ახსნა, რომ გუნდის საბრძოლველად წაქეზება უნდოდა, თუმცა ამაოდ. მატჩის ბოლოს ჩხუბებიც გაჩაღდა და იქაც „ოტავამ“ იმარჯვა.

**ლოს ანჯელესი 4:1 ფინიქსი**

*1:0 1:1 2:0*

1:0 დემიტრა (20), 1:1 მარა (30), 2:1 კორვო (31), 3:1 კამალერი (50), 4:1 კონროი (53)

**თამაშზე** გაფრენამდე რაღაც ერთი საათით ადრე „ფინიქსი“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. დიადი უეინ გრეცკი იძულებული გახდა, გუნდი დაეტოვებინა, ვინაიდან დედამისის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. უკვე დიდი ხანია, ფილის გრეცკის ფილტვების კიბო სტანჯავს. ბოლო დროს თითქოს სასიკეთო ძვრები შეიმჩნეოდა, თუმც ავადმყოფობამ კვლავ იჩინა თავი და, ცხადია, უეინი ახლა მხოლოდ ოჯახზე ფიქრობს. უკვე ისიც საეჭვოა, რომ უეინმა ოლიმპიადაზე კანადის ნაკრებს უთავკაცოს, უმისოდ კი „ფინიქსმა“ ერთ-ერთი უარესი თამაში ჩაატარა — „ლოს ანჯელესს“ ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა.

**ატლანტა 2:1 ფლორიდა**

*0:0 0:1 2:0*

0:1 ჰორტონი (36), 1:1 სლეიტერი (46), 2:1 კოვალჩუკი (46)

**აილენდერსი 5:4 კოლორადო**

*2:0 2:2 1:2*

1:0 ჰემილტონი (3), 2:0 ეშამი (12), 3:0 შატანი (25), 3:1 ლაილსი (27), 4:1 პერიში (27), 4:2 სვატოში (33), 5:2 კამპოლი (45), 5:3 სვატოში (58)

**ნეშვილი 7:3 კოლუმბუსი**

*0:1 6:1 1:1*

0:1 ნეში (13), 1:1 ტუტუ (21), 1:2 ჰრდინა (27), 2:2 ბიჩი (27), 3:2 ჟიდლიცკი (30), 4:2 სალივანი (34), 5:2 პერო (36), 6:2 სმიტსონი (40), 7:2 ჰორდიჩუკი (48), 7:3 ვიბორნი (55)

**„კოლუმბუსს“** ვერც წინა სეზონის საუკეთესო მეგოლე რიკ ნეშის გამოჯანმრთელებამ და სეზონში პირველმა გოლმა უშველა.

**მინესოტა 4:3 მონრეალი**

*1:2 1:0 1:1 1:0*

0:1 მარკოვი (1), 1:1 როლსტონი (15), 1:2 ზედნიკი (18), 2:2 უაიტი (28), 2:3 რაიდერი (45), 3:3 როლსტონი (55), 4:3 ფოსტერი (64)

**ვანკუვერი 4:5 ედმონტონი**

*2:1 2:1 0:2 0:1*

1:0 კუკი (4), 2:0 ბერტუცი (8), 2:1 რ. სმიტი (13), 2:2 ჰემსკი (28), 3:2 ბერტუცი (29), 4:2 კარტერი (30), 4:3 რიზონერი (44), 4"4 ჰორკოფი (53), 4:5 პეკა (65)

**კალგარი 3:0 ბოსტონი**

*3:0 0:0 0:0*

1:0 ფანიოფი (4), 2:0 ამონტე (4), 3:0 იელი (5)

**სენტ ლუისი 2:5 ფილადელფია**

*0:1 2:3 0:1*

0:1 კნუბლი (19), 0:2 უმბერგერი (26), 1:2 დაუნი (26), 1:3 კნუბლი (27), 1:4 უმბერგერი (28), 2:4 იანგი (37), 2:5 რადივოევიჩი (60)

**კაროლინა 4:1 ნიუ ჯერსი**

*1:0 0:1 3:0*

1:0 ბრინდამორი (9), 1:1 სუგლობოვი (32), 2:1 ლაროსი (42), 3:1 სტაალი (43), 4:1 კოული (56)

**ტამპა 3:6 დეტროიტი**

*1:1 2:2 0:3*

1:0 დიმაიო (5), 1:1 დაციუკი (6), 2:1 ანდრეიჩუკი (24), 2:2 ფრანცენი (27), 3:2 კრეიგი (29), 3:3 ვული (39), 3:4 სამუელსონი (43), 3:5 დაციუკი (43), 3:6 შენაჰანი (50)

**„პიტსბურგში“ ცვლილებებია**

**„პიტსბურგში“** ედი ოლჩიკის დღეები რომ დათვლილი იყო, ეს ყველა ხვდებოდა, ამიტომაც მისი დათხოვნა არავის გაჰკვირვებია. გუნდში მარიოს პროტექციით მოსულმა ოლჩიკმა, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ მხოლოდ ტელევიზიაში მუშაობდა, „პინგვინებს“ ვერაფრით უშველა. შარშან მას კიდევ ჰქონდა გამართლება, რადგან გუნდი ძალიან სუსტი შემადგენლობით ასპარეზობდა. მაგრამ წლეულს „პიტსბურგი“ სერიოზულად გაძლიერდა და სეზონის წინ თასის ერთ-ერთ მაძიებლადაც კი ითვლებოდა. დღესდღეობით კლუბი ერთ-ერთი უარესია ლიგაში და, როგორც ყოველთვის, ამას თავკაცი შეეწირა.

ოლჩიკი მიშელ ეტიენმა შეცვალა, სპეციალისტმა, რომელიც თავის დროზე „მონრეალში“ საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა, ხოლო „პიტსბურგისთვის“ ის 1999 წლიდან მე-6 მწვრთნელია.

„ქაღალდზე ჩინებულად გამოვიყურებით, მაგრამ ვინ ვართ? პასუხი ჯერჯერობით არ ვიცით, თუმც უნდა ვიპოვოთ“ — თქვა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა.

სხვათა შორის, მან მთლიანად განაახლა სამწვრთნელო ბრიგადა. ტერიენმა „პიტსბურგში“ თავისი გუნდი მიიყვანა.

**„ჭერი“ მომავალი წლიდან აიწევა**

**გერი** ბეტმენი სიტყვის კაცი ყოფილა. ხომ თქვა ლიგის კომისიონერმა, რომ თუ ნჰლ-ს საქმეები კარგად წაუვიდა, მომავალში სახელფასო ზღვარი ანუ ჭერი აუცილებლად გაიზრდებაო. ჰოდა, ხუთშაბათს მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ წლეულს ლიგის საქმეები ისე კარგად მიდის, რომ უკე მომდევნო სეზონში შესაძლებელია „ჭერის“ 39 მილიონიდან 40-45 მილიონამდე აწევა. შესაბამისად, თუ ზღვარი 45 მილიონამდე გაიზრდება, მაქსიმალური ხელფასიც 7,8 მილიონიდან 9 მილიონამდე აიწევს. კომისიონერის თქმით, წლეულს ლიგის შემოსავალი ლამის 2 მილიარდით მოიმატებს.

ეს განცხადება ბეტმენმა კლუბების მფლობელთა ორდღიანი თათბირის დროს გააკეთა და, უნდა ითქვას, რომ ზოგი მეპატრონისთვის იგი სრული სიურპრიზი გამოდგა. ვერც კი წარმომედგინა, რომ წლეულს ლიგამ ესოდენ პროგრესს მიაღწია ეკონომიკური თვალსაზრისით. ესე იგი, უკვე სხვა მიმართულებით მივდივართ და კრიზისი დაძლეულია“ — თქვა „სენტ ლუისის“ გენერალურმა მენეჯერმა ლარი პლიომ.

**სამველ ღარიბიანი**

მძლეოსნობა

# ნახტომს სიმდიდრე მოაქვს

**რუსი** ჭოკით მხტომელი, ათენის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ელენა ისინბაევა ეცდება დახურული დარბაზებისთვის კვლავ გააუმჯობესოს თავისივე რეკორდი. იგი საამისოდ 18 თებერვალს ბირმინგემში გასამართი შეჯიბრებისთვის ემზადება. იმ შემთხვევაში, თუ ელენა ისინბაევა მიზანს მიაღწევს, მას 175 ათას გირვანქა-სტერლინგს გადაუხდიან.

„ბრიტანული შეხვედრები ჩემთვის მუდამ წარმატებულია. ეს შეხვედრები როცა არ უნდა შედგეს, მე მუდამ წარმატებით გამოვდივარ“, — თქვა ისინბაევამ.

მისი თქმით, როცა სტადიონზე მაყურებელი კონცენტრირებულია, ეს მას რეკორდების დამყარებაში ეხმარება.

ისინბაევამ თავისი პირველი მსოფლიოს რეკორდი დახურული დარბაზებისთვის ინგლისში ორი წლის წინათ გეიტსჰედში დაამყარა — 4,83. წლეულს ისინბაევამ ბირმინგემში ეს შედეგი კიდევ ერთხელ გააუმჯობესა, როცა 4,88 მეტრ სიმაღლეზე გადახტა.



# უსახელო გამარჯვება

## რუსმა რუისს ტიტული აართვა, სახელი კი ვერა



**გუშინ,** გამთენიისას, ბერლინის „მაქს შმელინგ ჰალეში“ რუსი მოკრივე ნიკოლაი ვალუევი ზემძიმე წონაში **WBA**-ს ვერსიით გაჩემპიონდა. მან ამერიკელ ჯონ რუისს აართვა ტიტული. რუსმა ქულებით მოიგო.

ეს ბრძოლა საკმაოდ უინტერესო გამოდგა და არცთუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრის აზრით, ვალუევს გაუმართლა, ბრძოლა ევროპაში რომ ჩატარდა. ცნობილი პრომუტერი დონ კინგი ჯერ კიდევ შეხვედრის წინ შიშობდა, რომ მსაჯები რუსს მიუდგებოდნენ. რუსმა დამაჯერებლად ვერ მოიგო და ეს კიდევ დიდხანს იქნება დავის საგანი.

ბრძოლის წინ ვალუევი აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა. იშვიათად ხდება, რომ ჩემპიონობის პრეტენდენტს ტიტულის მოქმედ მფლობელთან შედარებით უპირატესობა ჰქონდეს. თუმცა ეს ბრძოლა გამონაკლისი იყო.

ჯერ ერთი, რუსი ფიზიკური მონაცემებით აშკარად სჯობდა რუისს. ამერიკელი 108 კილოს იწონის, ვალუევი კი თითქმის 150 კილოგრამია. ამას გარდა, რუსი მეტოქეზე 30-სმ-ით მაღალია, რის გამოც რუისს უფრო უნდა გაძნელებოდა ვალუევთან ჩხუბი — ამერიკელი მეტოქეს წესიერად რომ მისწვდომოდა, ფაქტობრივად ფეხის წვერებზე უნდა ებრძოლა. ამის გამო, წესით, რუისი მალე უნდა დაღლილიყო.

არადა, რუისის სტილი სწორედ გაჭიანურებული ბრძოლებია. ის მეტოქეს ღლის და შემდეგ ბოლო რაუნდებში ცდილობს უპირატესობის მოპოვებას. ამის გამო კრივის სამყაროში იგი არც სპორტსმენებს უყვართ და არც მაყურებელს.

რუისი ვალუევთან ასეთი სტილით ვერ იჩხუბებდა. რუსი თვითონაც კარგ ფიზიკურ ფორმაში იყო და მისი დაღლა რუისისთვის წარმოუდგენელი ჩანდა. ესე იგი ამერიკელს უნდა შეეცვალა ბრძოლის სტილი და უნდა ეცადა, ვალუევისთვის საწყის რაუნდებშივე მოეღოთ ბოლო. მაგრამ რუისისთვის ეს არცთუ ადვილი იქნებოდა, რადგან მან ნოკაუტით ბოლოს 1996 წელს მოიგო, როცა დევიდ ტუა დაამარცხა.

ბრძოლა მოლოდინისამებრ წარიმართა. რუისმა პირველი ოთხი რაუნდი იაქტიურა და ვალუევი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, თუმც შემდეგ ამერიკელს დაღლა დაეტყო. ის ხშირად შედიოდა კლინჩში მოწინააღმდეგესთან და ხელებზეც ეკიდებოდა, რის გამოც ბრძოლამ თითქმის ყოველგვარი ინტერესი დაკარგა.

ვალუევს, თავის მხრივ, არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია. მან მატჩის საწყის მონაკვეთში საკმაოდ ადვილად გაუძლო მეტოქის აქტიურობას, რის შემდეგაც ის ნელ-ნელა აგროვებდა ქულებს და არ ცდილობდა ვითარების გამწვავებას.

ვალუევის ამ ტაქტიკამ გაამართლა კიდეც. მხოლოდ ერთმა მსაჯმა ჩათვალა, რომ ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 114:114. ორმა არბიტრმა კი ანგარიშით 116:113 და 116:114 გამარჯვება რუსს მიაკუთვნა, რაც საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილება იყო.

როგორც მატჩის შემდეგ ითქვა, ეს ბრძოლა რუისმა წააგო, მაგრამ მოიგო თუ არა იგი ვალუევმა, ძნელი სათქმელია.

რუსები კი ხარობენ თანამემამულის წარმატებით, მაგრამ ვალუევს, ალბათ, ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს ნამდვილ ჩემპიონად.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

# მამაშვილური ამბავი



ლეილა ალისა (მარჯვნივ) და აზა მარია სანდელის ორთაბრძოლის მომენტი

**მსოფლიო** ჩემპიონმა მეორე საშუალო წონაში ქალებს შორის, ლეილა ალიმ ბერლინში არასატიტულო ბრძოლაში შვედი აზა მარია სანდელი დაამარცხა. ლეგენდარული მუჰამედ ალის ქალიშვილმა მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო.

ამ დროს შვილის ასპარეზობას დარბაზიდან მუჰამედ ალიც ადევნებდა თვალს.

იმავე დღეს მუჰამედ ალი ბერლინში ოტო ჰანას სახელობის მშვიდობის მედლით დააჯილდოვეს შავკანიანების კულტურულ ემანსიპაციაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

**„LA MONDE“**-ს ცნობით, ალი პირველი სპორტსმენია, რომელმაც ეს მედალი მედალი მიიღო.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

# ძმების საკრივო ოსკარი

**უკრაინელმა** მოკრივე ძმებმა, ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებმა, მსოფლიოს სპორტული აკადემია „ლაურეუსის“ პრიზი მიიღეს ამ ორგანიზაციის ღირებულებების გავრცელებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

ეს პრიზი — „სპორტი სიკეთისთვის“, ჰოლივუდური „ოსკარის“ სპორტული ანალოგიაა.

ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ბორის ბეკერი, ფრანც ბეკენბაუერი და სპორტისა თუ ბიზნესის სხვა გამოჩენილი პირები.



**მსოფლიოს XVII ჩემპიონატი. ქალები**
**სანქტ პეტერბურგი. 5–18 დეკემბერი**

**ნახევარფინალი**
რუსეთი 31:24 დანია | რუმინეთი 26:24 უნგრეთი

**მესამე ადგილისთვის**
უნგრეთი 27:24 დანია

**ფინალი**
რუსეთი 28:23 რუმინეთი

# რუსული ხელბურთის ტრიუმფი



AFP სანქტ პეტერბურგიდან

**ჩემპიონატის** მასპინძელი რუსი ხელბურთელები თავადაც არ მოელოდნენ, თუ ასე იოლად გაუსწორდებოდნენ ოლიმპიურ ჩემპიონ დანიელებს.

სანქტ პეტერბურგის „ყინულის არენაზე“ შეკრებილი რვა ათასი ქომაგის თვალწინ, რუსეთის დამსახურებულ მწვრთნელ ევგენი ტრეფილოვის გოგოებს უმრისხანეს მეტოქეებისთვის წარმატების მისხალი შანსიც არ მიუციათ და შარშან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მარცხისთვის — 27:31 — დამაჯერებელი რევანში აიღეს.

აღსანიშნავია, რომ სლავი ქალების გუნდი უძლიერესთა ოთხეულში ყველაზე ახალგაზრდა (საშუალო ასაკი 23,6 წელია) და ტანადია (1,81 მ). სწორედ მასპინძელთა რიგებში გამოდის ყველაზე მაღალი, ლამის ორმეტრიანი (198) მოთამაშე ელენა პოლიონოვა.

დანიელებთან 22 წლის ფორვარდმა დასაწყისში ორი ზუსტი ტყორცნით დააწინაურა თავისიანები, მერე კი უმთავრესად ვეტერან ლუდმილა ბოდნიევას ზუსტი „გასროლებით“ სხვაობა ოთხ გოლამდე გაიზარდა — 10:6, ტაიმის მიწურულს კი რუსეთმა პრაქტიკულად გაინაღდა მოგება — 16:9.

შესვენების შემდეგ ვითარება თითქოს დაიძაბა, როცა შვიდწუთიანი მონაკვეთი დანიელებმა 7:1 მოიგეს და სხვაობაც ლამის მინიმუმამდე შემცირდა — 22:24, მაგრამ ეს მათი ბოლო გაბრძოლება იყო, რაც გამარჯვებისთვის, ბუნებრივია, საკმარისი არ აღმოჩნდა.

გაცილებით დაძაბულად წარიმართა უნგრეთ-რუმინეთის მეორე სამედლო დაპირისპირება. სხვაობა ერთ-ორ ბურთს არ ასცილებია, ანგარიში კი 14-ჯერ(!) გათანაბრდა.

რუმინელები შესვენების შემდეგ გააქტიურდნენ და საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე ოთხადგილიანი უპირატესობა მოიპოვეს — 25:21 და მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა.

ერთი სიტყვით, რუმინელ ქალთა ახალი მწვრთნელის გეორგე ტადიჩის გოგონებმა სენსაციურად გააღწიეს ფინალში, სადაც მასპინძელ რუსეთს დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრაში მასპინძლებმა კვლავ იმარჯვეს და ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

**ფინალი. ტაიბრეიკები**

ლევონ არონიანი (სომხეთი) (1:0) (1:0) რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) (3:1)

**მესამე ადგილი**

ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) (1:0) (0,5:0,5) ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) (2,5:1,5)

# მოჭადრაკეებმა ათამდე დაითვალეს, არონიანმა ასი ათასამდე



რუსლან პონომარიოვი და ლევონ არონიანი

**23 წლის** სომეხი დიდოსტატი ლევონ არონიანი მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. ფინალში მან თავისავე კბილა უკრაინელ რუსლან პანომარიოვს სძლია 3:1 და საპრიზო ასი ათასი დოლარიც ჩაიჯიბა.

მოჭადრაკეებმა ფინალში ორივე შეხვედრა ყაიმით დაასრულეს და მთავარი ჯახი ტაიბრეიკებში, სწრაფ პარტიებში გადაიტანეს.

პირველ მატჩში თეთრი ფიგურები არონიანს ერგო და თამაში აგრესიულად დაიწყო. სომეხი დიდოსტატი უკრაინელს ხეირიანი შეტევის განხორციელების საშუალებას არ აძლევდა, მწარედ ურტყამდა და მალე უპირატესობაც მოიპოვა. არონიანმა ლაზიერის ფლანგიდან განავითარა იერიში, დიდი მანევრები განახორციელა და 73-ე სვლაზე გაიმარჯვა.

არონიანმა განმეორებითი შეხვედრაც აქტიურად დაიწყო, დაცვაში ჩაჯდომა არც იფიქრა და მაშინვე შეუტია მეტოქეს. პონომარიოვი ყოჩაღად ჩაერთო თამაშში, ერთ მომენტში მოსაგებ პოზიციაზეც გავიდა, თუმც შემდეგ შეცდა და 51-ე სვლაზე სრული კაპიტულაცია გამოაცხადა.

ფიდეს ექსჩემპიონ პონომარიოვს მეორე ადგილისთვის 70 ათასი დოლარი ერგო.

მესამე ადგილი ფრანგმა ეტიენ ბაკრომ მოიპოვა, მან რუს ალექსანდრ გრიშჩუკს მოუგო 2,5:1,5.

თასზე 16 საუკეთესო მოჭადრაკე გამოვლინდა, რომელთაგანაც ათი გასად მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო შესარჩევ ეტაპზე გაემგზავრება.

1. ლევონ არონიანი (სომხეთი)
2. რუსლან პანომარიოვი (უკრაინა)
3. ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)
4. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)
5. ევგენი ბარეევი (რუსეთი)
6. ბორის გელფანდი (ისრაელი)
7. სერგეი რუბლევსკი (რუსეთი)
8. მიხაილ გურევიჩი (ბელგია)
9. გატა კამსკი (აშშ)
10. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)



# რუსებს იმედი დაემსხვრათ



**73 კილოგრამ** წონით კატეგორიაში მოჭიდავე რუსი ძიუდოისტი რომან მიშურა ტატამს მინიმუმ ერთი წლით დაემშვიდობა. რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი უპერსპექტიულესი წევრი, როგორც თავად რუსები უწოდებენ, ამ დღეებში შიდა საკლუბო ჩემპიონატზე დაშავდა.

მსოფლიოს თასის მფლობელი და ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი არმიელთა გუნდის რიგებში გამოდიოდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ალექსანდრ მიხაილინისა და ათენი 2004-ის პრიზიორ ხასანბი ტაოვის გვერდით. რუსეთის ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მიშურა იმ რამდენიმე სპორტსმენს შორისაა, რომელთაგან პეკინის ოლიმპიადაზე მედლებს ელიან. მიშურას მუხლის მყესების დაწყვეტამ და ერთწლიანმა იძულებითმა დასვენებამ კი შეიძლება საჩინეთე იმედები გააცრუოს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 15 | ქპრ-ქოვენტრი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 86 | პადერბორნი-კარლსრუე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 153 | გრენობლი-კრეტეი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 230 | აკრატიტოსი-ქსანთი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 188 | არმინია-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:00 | 189 | ფრაიბურგი-მიუნხენი1860 | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 22:00 | 190 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 191 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 22:00 | 192 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 22:00 | 193 | ზტ.პაული-ჰერტა | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 22:00 | 194 | ჰანზა-ოფენბახი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:30 | 195 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 196 | დონკასტერი-არსენალი | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| 23:45 | 197 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 23:45 | 198 | უიგანი-ბოლტონი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 23:45 | 199 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| | | **ინგლისი FA Trophy** | | | | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 225 | კიდერმინსტერი-ბრედფორდი | 3.45 | 3.20 | 1.90 | 1.66 | 1.22 | 1.19 |
| 23:45 | 226 | ტრანმერი-კარლაილი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 227 | ჩელტენემი-ოქსფორდი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:45 | 228 | დონსი-კოლჩესტერი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 229 | უოლსოლი-უიკომბი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:00 | 231 | ჰერეფორდი-სკანთორპი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# რეკორდი

## შეშინებულის ჰეთ-თრიქი


ვერდერი — ჰამბურგი. მასპინძელთა ბრაზილიელმა ნალდომ ბევრი, მაგრამ ამაოდ იხტუნა

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVII ტური

**შტუტგარტი 2:0 შალკე**

1:0 გომესი (47), 2:0 ლიუბოია (64)
შტუტგარტი: ჰილდენრანდი, მეირა, შრანცლი, დელპიერი, მანინი, სოლდო, მაისლერი (გენტნერი 62), ტიფერტი, ლიუბოია (კარევიჩი 90), ჰიტცლშპერგერი, გომესი (შტრელერი 83)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
შალკე: როსტი, რაფინია, როდრიგესი, კრსტაიჩი, ბაირამოვიჩი, ერნსტი, პოულსენი, ვარელა (სანდი 69), ლინკოლნი, ასამოა (ლარსენი 69), კურანი
მწვრთნელი: ოლივერ რეკი
გაფრთხილება: სოლდო, ტიფერტი, მაისნერი, ჰიტცლშპერგერი, ბაირამოვიჩი, პოულსენი, ლინკოლნი, როდრიგესი
გაძევება: ბაირომოვიჩი (76)
მსაჯი: შტარკი
50 000 მაყურებელი

**გლადბახი 4:3 აინტრახტი**

0:1, 0:2 კოპადო (16, 21), 1:2 იანსენი (44), 2:2, 3:2 ნოივილი (77, 82), 4:2 სვერკოში (87), 4:3 კრისი (90)
გლადბახი: კელერი, შტრასერი, ელ ფაკირი, ზე ანტონიო, იანსენი, დაემსი, ბროიხი (კომპერი 86), პოლანსკი, კლუგე (სვერკოში 68), ნოივილი, კაე
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
აინტრახტი: ნიკოლოვი, რემერი, კრისი, ვასოსკი, შპიხერი, ჩაფტარი (კოლერი 60), პროისი, ვაისენბერგერი, კოპადო (ჰუგელი 76), დუ რი ჩა, ამანატიდისი (ვან ლენტი 46)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: დაემსი, ჩაფტარი
მსაჯი: მერკი
48 000 მაყურებელი

**მაინცი 1:1 დუისბურგი**

1:0 და. სილვა (27), 1:1 მიორლე (85)
მაინცი: ვახე, ნოვაკი, ფრიდრიხი, დემერტასი (აბელი 80), ვაიგელტი, პეკოვიჩი, და სილვა, გერბერი, ტურკი (რომულო 88), ზიდანი (რუმანი 65), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
დუისბურგი: კოხი, ბალუმი, მიორლე, ბოჯეკი, მაიერი, ტიკუზუ, ვოლტესი (ელკასმი 78), ლოტნერი, ვილი, რიტპიში (ივანოვიჩი 78), ვან ჰუდტი (სტიგმანი 83)
მწვრთნელი: ჰაიკო შოლცი
გაფრთხილება: ვაიგელტი, პეკოვიჩი, ბოჯეკი, ვან ჰუდტი
მსაჯი: შმიდტი
20 300 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:0 ჰანოვერი**

ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო, ჟუანი, მადუნი, ფრიცი, ბაბიჩი, შნაიდერი, როლფსი, ბარნეტა (ტადიჩი 85), ვორონინი (ფრაიერი 63), ბერბატოვი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
ჰანოვერი: ენკე, მერტესაკერი, ჟურავი, ტარნატი, ბალიჩი (იანკოვი 81), ს. სოუზა (დელურა 64), ლალა, დაბროვსკი, შტაინერი (იდრისუ 83), ბრდარიჩი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ბარნეტა, კასტრო, ბალიჩი, ბაბიჩი
მსაჯი: დრეესი
20 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:2 ბაიერნი**

0:1 ქარიმი (52), 0:2 პიზარო (73), 1:2 კრინგე (81)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ჰენემაიერი, მეცელდერი, დეგენი, კრუსკა, კელი, კრინგე, საჰინი, ბაკლი (გამბინო 65), ოდონკორი (საკა 87), სმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლოზარაზუ, დემიკელისი (ოტლი 38), ჰარგრივსი (შვაინშტაიგერი 62), ზე რობერტო, ქარიმი (იერემისი 89), პიზარო, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ზე რობერტო, ოტლი
გაძევება: საკა (89)
მსაჯი: ფანდელი
81 264 მაყურებელი

**ლაუტერნი 3:2 ვოლფსბურგი**

1:0 ჰალილ ალტინტორპი (45), 1:1 კლიმოვიჩი (47), 1:2 ჰანკე (54), 2:2, 3:2 ჰალილ ალტინტორპი (61, 83)
ლაუტერნი: მახო, ჰერჩი, ლემბი, შონჰაიმი, პლეჩი, მიკიჩი (ალფარი 70), ენგელჰარდტი, ბელინგჰაუზენი, სანოგო, სკელა, ჰალილ ალტინტოპი (რიდლი 89)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ვოლფსბურგი: იენჩი, ჰოფმანი, ფრანცი (კიროგა 79), ნევილი (ვან დერ ჰეიდენი 75), ტიამი, ცქიტიშვილი, სარპეი (კარჰანი 70), მენსეგეში, დალესანდრო, ჰანკე, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: მიკიჩი, ჰალილ ალტინტორპი, პლეჩი, მენსეგეში, დალესანდრო, ჰოფლანდი, ვან დერ ჰეიდენი
მსაჯი: ვაგნერი
25 000 მაყურებელი

**არმინია 3:2 კიოლნი**

0:1 შპრინგერი (1), 1:1 კობილიკი (52), 2:1, 3:1 ფინკი (54, 60), 3:2 შერცი (72)
არმინია: ჰაიმი, ბორგესი, ვესტერმანი, შულერი (რაუ 73), კორჟინეცი, დამაიერი, კობილიკი, ფინკი (პინტო 78), ვატა, ზუმა, ბოაკი (დიალოვიჩი 34)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
კიოლნი: ვესელსი, სინკიევიჩი, შლიკე, მატიპი, რანი (აპშტაინი 67), ბენშნაიდერი, შინდიელორსი, შპრინგერი (გრამოზისი 56), ლურლინგი (მოხტარი 57), შერცი, შტრაიდი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: სინკიევიჩი, შპრინგერი, ბენშნაიდერი, შლიკე
მსაჯი: ბრიხი
26 610 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 ჰამბურგი**

1:0 მიკუ (45), 1:1 კუკუკოვიჩი (67)
ვერდერი: რაინკე, ანდრეასენი, ოვომოიელა, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ფრინგსი, მიკუ, ვრანიეში, ვალდესი (კლასნიჩი 70), კლოზე
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰამბურგი: კირშტაინი, დემელი, ატუბა, ვან ბუიტენი, ბარბარესი, ბაინლიხი, იაროლინი (კლინგბეილი 87), ტროხოვსკი (კუკუკოვიჩი 65), ვიკი, მაჰდავიკია, ლაუტი (ტაკაჰარა 65)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: კლოზე, ოვომოიელა, ნალდო, ბაუმანი, პასანენი, ატუბა, ბარბარესი, დემელი
მსაჯი: მაიერი
43 000 მაყურებელი

**ჰერტა 1:1 ნიურნბერგი**

0:1 საენკო (55), 1:1 მადლუნგი (87)
ჰერტა: ფიდლერი, ფრიდრიხი, ფატი (ოკორონკვო 71), მადლუნგი, სამბა, ბაშთურქი, ბოატენგი, ჟ. სილვა, კოვაჩი (კაირო 65), პანტელიჩი (დეჟაგა 79), ნოეინდორფი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ნიურნბერგი: შეფერი, ნიკლი, კანტალუპი, პინოლა, ვოლფი, რაინჰარდტი, ბანოვიჩი (ლ. მიულერი 69), მნარი (პაულუსი 74), პოლაკი (ვიტეკი 46), შროტი, საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: სამბა, პინოლა
მსაჯი: რაფატი
35 000 მაყურებელი

მიუნხენის „ბაიერნმა“ რეკორდი გამოაცხო — წლეულს 34 ბუნდესლიგური მატჩიდან 28-ში იმარჯვა. ფელიქს მაგათის გუნდმა პირველ წრეში რვავე საშინაო შეხვედრა მოიგო და ზამთრის ჩემპიონი გახდა. ტრადიცია ალბათ ამ სეზონშიც არ დაირღვევა და ზამთრის ჩემპიონი საბოლოოდ ბუნდესლიგის გამარჯვებული გახდება.

დისკვალიფიცირებული ბალაკის შემცვლელმა ალი ქარიმიმ საქმე ფრიადზე შეასრულა და დორტმუნდში გაიტანა.

პირველ ტაიმში მასპინძლები უფრო ყოჩაღობდნენ, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენეს. ერთ ეპიზოდში ბურთმა „ბაიერნის“ კარის ხარიხასა და ხაზ შორის იხტუნავა, მაგრამ ბადეში არ შევარდა.

შესვენების შემდეგ „ბაიერნმა“ იძალა. ქარიმიმ და პიზარომ ოც წუთში თითო გოლი „მიართვეს“ „ბორუსიას“, რაზეც დამხვდურებმა ერთით უპასუხეს. მატჩის მიწურულს დორტმუნდელებს მაკაისთან უხეშობისთვის საკა გაუძევეს.

„შალკეში“ ოლივერ რეკის დებიუტი მარცხიანი გამოდგა. ამაოდ ბაქიაობდა რანგნიკის შემცვლელი, გუნდში ყველაფერი წესრიგშიაო. „შტუტგარტთან“ მატჩის პირველ ტაიმში „ხუმარებს“ ჰქონდათ 2-3 მომენტი, მაგრამ კევინ კურანის ფეხმრუდობის გადამკიდე სტუმრებმა ვერ იხეირეს.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა იძალეს. მარიო გომესმა კოხტა გოლი გაიტანა. დაახლოებით 30 მეტრი ირბინა ბურთით და ბოლოს ფრანკ როსტის კარში შეაგდო. მოგვიანებით დანიელ ლუბოიამ იხეირა და სხვაობა ორამდე გაზარდა, „შალკემ“ კი სეზონში მეორე მატჩი წააგო.

ჰალილ ალტინტოპი, რომელსაც ერთი კვირის წინ მაგანი ფანი სიკვდილით დაემუქრა, ვერ შეშინდა, რომ „ვოლფსბურგთან“ ჰეთ-თრიქი მიითვალა. „კაიზერსლაუტერნის“ თურქმა ლეგიონერმა პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა ანგარიში, მეორის დასაწყისში კლიმოვიჩმა და ჰანკემ სტუმრები დააწინაურეს. მაგრამ, „ლაუტერნის“ ხსნა ალტინტოპს ეწერა. ვოლფსბურგელი პაბლო ტიამის შეცდომას „მგლების“ კარში მეორე გოლი მოჰყვა, გალაღებულმა თურქმა კი თამაშის მიწურულს მესამეც მიითვალა და მასპინძლებს სამი ქულა გაუფორმა. აღსანიშნავია, რომ „კაიზერსლაუტერნს“ მეორე ტურს შემდეგ არ მოეგო.

„კიოლნი“ ბილეფილდში პირველივე წუთზე დაწინაურდა, თუმც შესვენების მერე „არმინია“ გადასხვაფერდა. დამხვდურები რვაწუთიან მონაკვეთში სამი გოლით გაუმასპინძლდნენ „თხებს“, რომლებიც გონს ველარ მოეგნენ. სტუმრებმა ბოლოს შერცის წყალობით სხვაობა შეამცირეს და მათი წვალება თოვლიან მოედანზე ამით დამთავრდა.

„კიოლნის“ წაგების გამო გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას რეტიგმა პოსტი დატოვა და მას მწვრთნელი უვე რაპოლდერიც მიჰყვა.

მიონხენგლადბახში შეკრებილი ქომაგები შვიდი გოლით „დააპურეს“. ბოლოჟამს მოყოჩაღებული „აინტრახტი“ კოპადოს დუბლით „ბორუსიას“ უგებდა, მაგრამ უპირატესობა გაანიავა. ჯერ იანსენმა გაქვითა, მერე კი ნოივილმა წყვილი გოლი გაიტანა, რასაც სვერკოშმა მეოთხე მიამატა. აინტრახტელმა კრისმა ცოტა ანერვიულა მასპინძლები, როცა ბოლო წუთზე სხვაობა ერთ გოლამდე შეამცირა, მაგრამ სტუმრებს მეტზე ჯანი არ ეყოთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 17 | 14 | 2 | 1 | 35:12 | 23 | 44 | 8 | 8 | 0 | 0 | 20:3 | 17 | 24 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:9 | 6 | 20 |
| 2 ჰამბურგი | 17 | 11 | 5 | 1 | 28:9 | 19 | 38 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:5 | 10 | 20 | 8 | 5 | 3 | 0 | 13:4 | 9 | 18 |
| 3 ვერდერი | 17 | 11 | 3 | 3 | 46:21 | 25 | 36 | 9 | 7 | 2 | 0 | 30:11 | 19 | 23 | 8 | 4 | 1 | 3 | 16:10 | 6 | 13 |
| 4 შალკე | 17 | 8 | 7 | 2 | 20:12 | 8 | 31 | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 8 | 18 | 9 | 3 | 4 | 2 | 8:8 | 0 | 13 |
| 5 ჰერტა | 17 | 7 | 5 | 5 | 27:24 | 3 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 18:8 | 10 | 17 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | -7 | 9 |
| 6 შტუტგარტი | 17 | 5 | 10 | 2 | 21:17 | 4 | 25 | 9 | 2 | 5 | 2 | 13:12 | 1 | 11 | 8 | 3 | 5 | 0 | 8:5 | 3 | 14 |
| 7 გლადბახი | 17 | 6 | 7 | 4 | 24:21 | 3 | 25 | 9 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 6 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:12 | -3 | 7 |
| 8 ჰანოვერი | 17 | 4 | 9 | 4 | 26:23 | 3 | 21 | 8 | 2 | 5 | 1 | 15:11 | 4 | 11 | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | -1 | 10 |
| 9 დორტმუნდი | 17 | 5 | 6 | 6 | 23:24 | -1 | 21 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:9 | 2 | 14 | 8 | 1 | 4 | 3 | 12:15 | -3 | 7 |
| 10 აინტრახტი | 17 | 6 | 3 | 8 | 24:27 | -3 | 21 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:10 | 4 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | -7 | 8 |
| 11 არმინია | 17 | 5 | 5 | 7 | 21:25 | -4 | 20 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:10 | 3 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 8:15 | -7 | 7 |
| 12 ლევერკუზენი | 17 | 4 | 7 | 6 | 24:26 | -2 | 19 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | -3 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 9 |
| 13 ვოლფსბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:29 | -12 | 18 | 8 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 1 | 11 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:23 | -13 | 7 |
| 14 მაინცი | 17 | 4 | 4 | 9 | 24:26 | -2 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 18:14 | 4 | 12 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:12 | -6 | 4 |
| 15 ნიურნბერგი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:30 | -12 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:12 | -3 | 6 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:18 | -9 | 8 |
| 16 კიოლნი | 17 | 3 | 3 | 11 | 24:39 | -15 | 12 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 | 9 | 1 | 2 | 6 | 14:22 | -8 | 5 |
| 17 დუისბურგი | 17 | 2 | 6 | 9 | 15:31 | -16 | 12 | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | -1 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 8:23 | -15 | 2 |
| 18 ლაუტერნი | 17 | 3 | 3 | 11 | 23:44 | -21 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 16:25 | -9 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 7:19 | -12 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 16 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 13 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 11 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 9 |

### XVIII ტური

28-29 იანვარი, 2006

| | | |
|---|---|---|
| არმინია | : | ვერდერი |
| ჰერტა | : | ჰანოვერი |
| ლევერკუზენი | : | აინტრახტი |
| გლადბახი | : | ბაიერნი |
| დორტმუნდი | : | ვოლფსბურგი |
| ლაუტერნი | : | შალკე |
| შტუტგარტი | : | დუისბურგი |
| მაინცი | : | კიოლნი |
| ნიურნბერგი | : | ჰამბურგი |

### მეორე ბუნდესლიგა

XVII ტური

**ფიურტი 1:2 ფრაიბურგი**

0:1 კრუპკე (34), 0:2 აოგო (40), 1:2 ფუხსი (49)
ფრაიბურგი: ვალკე, მოჰამედი, იბერსტბერგერი, ჰანსენი (ანტარი 60), აოგო, როიტერი, ტანკო (ბალტესი 70), კულიბალი, სანუ (დიარა 74), კრუპკე, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**მიუნხენი 2:3 კოტბუსი**

1:0 კოლომაზნიკი (22), 1:1 და სილვა (42), 1:2 რადუ (65), 1:3 და სილვა (67), 2:3 აგოსტინო (83)

**ბოხუმი 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 გროტე (88)

**ალემანია 2:0 ბურგჰაუზენი**

1:0 ფილი (2), 2:0 როსლერი (43)

**ბრაუნშვაიგი 1:2 ზაარბრიუკენი**

0:1 ჩადი (49), 0:2 ორტილი (63), 1:2 გრაფი (90)

**ოფენბახი 0:3 ალენი**

0:1, 0:2 ბამბა (19, 61), 0:3 ტიუნი (81)

**დინამო — ჰანზა**

გადაიდო

**ზიგენი — აუე**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 17 | 10 | 2 | 5 | 33:20 | 32 |
| ბოხუმი | 17 | 9 | 5 | 3 | 28:17 | 32 |
| ფიურტი | 17 | 9 | 3 | 5 | 29:24 | 30 |
| კოტბუსი | 17 | 8 | 4 | 5 | 30:23 | 28 |
| მიუნხენი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:20 | 28 |
| ფრაიბურგი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:20 | 28 |
| კარლსრუე | 16 | 8 | 3 | 5 | 23:18 | 27 |
| ბრაუნშვაიგი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:17 | 24 |
| პადერბორნი | 16 | 7 | 2 | 7 | 26:18 | 23 |
| უნტერჰახინგი | 17 | 7 | 2 | 8 | 26:24 | 23 |
| ბურგჰაუზენი | 17 | 6 | 5 | 6 | 20:26 | 23 |
| ჰანზა | 16 | 6 | 4 | 6 | 22:21 | 22 |
| აუე | 16 | 5 | 6 | 5 | 14:13 | 21 |
| ზიგენი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:21 | 19 |
| ოფენბახი | 17 | 5 | 2 | 10 | 18:35 | 17 |
| ზაარბრიუკენი | 17 | 4 | 3 | 10 | 17:36 | 15 |
| დინამო | 16 | 3 | 4 | 9 | 19:30 | 13 |
| ალენი | 17 | 2 | 6 | 9 | 17:30 | 12 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVII ტური

**ასტონ ვილა 0:2 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროოი (10), 0:2 რუნი (51)

**ასტონ ვილა:** სოერენსენი, რიჯველი, ჰიუზი, ბუმა, დელეინი, ბერი, ბაკე, დევისი, მაკანი, მილნერი (ანხელი 46), ბაროში

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ოში, სქოულზი, ფლეტჩერი, პარკი, გიგზი (კ. რონალდო 62), რუნი, ვან ნისტელროოი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ანხელი

მსაჯი: დინი

37 128 მაყურებელი

**ევერტონი 0:4 ბოლტონი**

0:1 დეივისი (27), 0:2 იანაკოპულოსი (75), 0:3 სპიდი (79პ), 0:4 იანაკოპულოსი (80)

**ევერტონი:** რაიტი, ვეირი, იობო, ჰიბერტი (ოსმანი 77), ნუნუ ვალენტე, არტეტა, ფ. ნევილი, დეივისი, ჩეჰილი, მაკფადენი, ბიტი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

**ბოლტონი:** იასკალაინენი, ნგოტი, ფაიე (ჯეტუ 84), სპიდი, ობრაიენი, ნოლანი, ოკოჩა (ჰანტი 67), დეივისი, იანაკოპულოსი, დიუფი (ვაზ ტე 73)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ჰიბერტი, დეივისი, ნევილი, ფაიე

მსაჯი: უილი

34 500 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ბლექბერნი**

1:0 დიოპი (45), 2:0 ბოა მორტე (52), 2:1 ნაითი (90ს.კ.)

**ფულემი:** კროსლი, გომა, ნაითი, კრისტანვალი, როზენერი, დიოპი (ლეგვინსკი 89), ლიკოკი, ბოა მორტე (ელრიში 90), რაძინსკი, ჯონი (ჰელგუსონი 35), მაკ ბრაიდი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნეილი, გრეი, ტოდი, ხიზანიშვილი, ემერტონი (კუკი 57), სევიჯი, ბენტლი, თუგაი, პედერსენი (ტომპსონი 76), დიკოვი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: ჰელგუსონი, რაძინსკი, ნაითი, მაკბაიდი, ბენტლი, თუგაი, ნეილი, დიკოვი

მსაჯი: კლატენბურგი

20 138 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:4 ნიუკასლი**

0:1 ოუენი (5), 1:1 სოლანო (20ს.კ.), 1:2 ოუენი (43), 1:3 შირერი (66), 2:3 ჰარვუდი (73პ), 2:4 ოუენი (90)

**ვესტ ჰემი:** კეროლი, ფერდინანდი, კოლინზი, კონჩესკი, რეპკა (ალიადე 76), მულინსი, ფლეტჩერი, ეტერინგტონი, ბენაიუნი (ბეიონი 62), ზამორა, ჰარვუდი

მსაჯი: ალან პერდიუ

**ნიუკასლი:** გივენი, ბუმსონგი, ბრამბლი, ელიოტი, რემიჯი, პარკერი, ფაიე, სოლანო (ბოიერი 79), ამეობი, შირერი, ოუენი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: კეროლი, ეტერინგტონი, ფერდინანდი, ბრამბლი, ამეობი, პარკერი

მსაჯი: დოუდი

34 836 მაყურებელი

**უიგანი 3:0 ჩარლტონი**

1:0, 2:0, 3:0 ა. კამარა (9, 51, 63)

**უიგანი:** პოლიტი, ჯეკსონი, დე ზაური, შიმბონდა, ბაინესი, ბულარდი, კავანაფი, ტილი (ტეილორი 83), მაკკალოფი, რობერტსი, ა. კამარა (იოჰანსონი 87)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

# ჩელსი, რა თქმა უნდა, ჩელსი



AFP ლუსხველი

არსენალი — ჩელსი. „მეთოფეთა“ მეკარე იენს ლემანს საქმე არ მოჰკლებია

**ჩარლტონი:** კილი, პერი, იანგი, ჰრეიდარსონი, კიშიშევი (ჰიუზი 83), სმერტინი, მერფი, ამბლოუზი (სპექტორი 69), ტომასი (ბარტლეტი 46), ბენტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: სპექტორი

მსაჯი: ატკინსონი

17 074 მაყურებელი

**სიტი 4:1 ბირმინგემი**

1:0 სომელი (1), 2:0 ბარტონი (15პ), 3:0 სიბიერსკი (40), 4:0 ბ. რაიტ-ფილიპსი (70), 4:1 იაროშიკი (76)

**სიტი:** ჯეიმსი, ჯიჰაი, დისტინი, ონუჰა, სომელი, ტეტჩერი, ბარტონი, რეისა (ფაულერი 71), სინკლერი, სიბიერსკი (აილენდი 84), ვასელი (ბ. რაიტ-ფილიპსი 68)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

**ბირმინგემი:** ვიზონი, კლაპამი, კანინგემი, პეინტერი, ტებილი (ფორსელი 23), აპსონი, ბატი, დანი (პენანტი 35), კლემანი, პანდიანი (იაროშიკი 73), ჯონსონი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: სინკლერი, ჯიჰაი, ვიზონი, კლემანი

გაძევება: ვიზონი (90)

მსაჯი: ბენეტი

41 343 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ტოდოროვი (54)

**პორტსმუთი:** ეშდაუნი, სტეფანოვიჩი, პრიმუსი, ობრაიენი, გრიფინი, ტეილორი, ჰიუზი, ონილი, რობერი, პრიკარი (ტოდოროვი 6; პრისკე 89), ლუალუა

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**ვესტ ბრომვიჩი:** კუშჩაკი, ალბრეხსტენი, დევისი, კლემენტი, რობინსონი, უოლვოკი, ინამოტო, გრინინგი (კემპბელი 90), კანუ, ელინგტონი, კამარა (ერნშოუ 65)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: ტეილორი, უოლვოკი

მსაჯი: ჰელსი

20 052 მაყურებელი

**არსენალი 0:2 ჩელსი**

0:1 რობენი (39), 0:2 ჯო კოული (73)

**არსენალი:** ლემანი, სენდეროში, ტურე, კემპბელი, ლორენი, ფაბრეგასი, ფლამინი, ლიუნგბერგი (ბერხკამპი 70), გლები (პირესი 70), ვან პერსი (აბეიე 82), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა, კარვალიუ, ტერი, გალასი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ჯო კოული, რობენი (ჯერემი 77), დროგბა (ჰუტი 88)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ვან პერსი, სენდეროში, ანრი, რობენი, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი

მსაჯი: სტაილზი

38 347 მაყურებელი

**მიდლსბრო 3:3 ტოტენჰემი**

0:1 რობი კინი (25), 1:1, 2:1 აიგბენი (30, 43), 2:2 ჯენასი (63), 3:2 კედრუ (69), 3:3 მიდო (83)

**მიდლსბრო:** შვარცერი, ეჰიოგუ, ბეიტსი, კედრუ, საუთგეიტი, ბოატენგი, დორივა, მორისონი (მაკარონე 89), როჩემბაკი, ვიდუკა, აიგბენი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

**ტოტენჰემი:** რობინსონი, კინგი, ლი, დოუსონი, სტალტერი, დავიდსი, კარიკი, დევისი, ჯენასი (რასიაკი 81), რეიდი (დეფო 56; ბრაუნი 90), რობი კინი, მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: დორივა, დოუსონი, ბეიტსი, დავიდსი, რობინსონი

მსაჯი: ვები

27 614 მაყურებელი

**სანდერლენდი — ლივერპული**

*გადაიდო*

**ინგლისში** თქმულია, ვინც შობას მოიგებს, ჩემპიონიც ისაა. ეს სახალხო წესი ათიდან ცხრა შემთხვევაში გამართლდება ხოლმე. „მანჩესტერმა“ შაბათს თავისი თამაში მოიგო და იმას დაელოდა, როგორ მოუვლიდა „არსენალი“ „ჩელსის“.

„ჰაიბერის“ თამაში „მეთოფეთათვის“, ეროგვარად მაინც, სეზონის გადარჩენას ნიშნავდა. თუ ქულებით არა, ღირსებით მაინც. ჰოდა, როცა ტიერი ანრიმ სრულიად გენიალურად წაუცაცუნა ძელს ბურთი, იმედი გაჩნდა. თუმცა, საქმე ისე წავიდა, რომ არიენ რობენს არ წაუცაცუნებია: პირველი ტაიმის ბოლოს ის მცველებს გაექცა და შორეულ კუთხეში ჩააცურა ბურთი.

„არსენალმა“ „ჩელსის“ ვერ მოუარა: მეტიც — ჯო კოულმა მეორეც გაუტანა მასპინძლებს და თუმცა თამაში ამით არ მომკვდარა, მაგრამ მეთოფეთა შანსები კი მოკვდა, ხოლო „ჩელსიმ“ კვლავაც შეინარჩუნა ის ცხრაქულიანი სხვაობა, უახლოეს მდევართან, ამ შემთხვევაში, „მანჩესტერთან“ რომ აშორებს.

თამაშის შემდეგ, გახარებულმა მაურინიუმ კვლავ გაიმეორა თავისი ცნობილი ფრაზა იმის თაობაზე, რომ მისი გუნდი მაინც ჩემპიონი გახდება.

ამის მიუხედავად, ვნახოთ, რა გამოდნება საშობაო სიგიჟიდან.

პრემიერლიგა კი თითქოს თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, „ჩელსისგან“ მოშორებით.

„ევერტონმა“, ზედიზედ მეორედ წააგო მას შემდეგ, რაც „ოლდ ტრეფორდზე“ ფრე გაახერხა. ამჯერად შინ წაიქცა „ბოლტონთან“ და სტუმართა ოთხ გოლს ერთითაც ვერ უპასუხა. წაგებულთა მენეჯერმა დევიდ მოიესმა თქვა: „ასეთი გოლები ეზოშიც არ გადის. ჩვენ 10-15 წუთს გამოვეთიშეთ და თამაში წავაგეთ.“

„სიტიმაც“ 4 გოლი გაუტანა „ბირმინგებს“, თუმცა საპასუხოდ ერთი მაინც მიიღო. ზედიზედ 5 წაგების შემდეგ „უიგანმა“ „ჩარლტონი“ დაიჭირა და ანრი კამარას ჰეთ-თრიქით მიანგრია. ჰეთ-თრიქი გაახერხა მაიკლ ოუენმაც ტურის ყველაზე საჭირო თამაშში „აპტონ პარკზე“, სადაც „ნიუკასლმა“ „ვესტ ჰემს“ გამარჯვება გამოგლიჯა, ალან შირერმა კი თავისი 199-ე ნიუკასლური გოლი გაიტანა.

გამარჯვებული იდგა „ფრეტონ პარკის“ კიდეზე ჰარი რედნაპი. პირველი საშინაო თამაში მისი უფროსობით „პორტსმუთმა“ „ვესტბრომს“ მოუგო, თანაც თამაშის ერთადერთი გოლი სტეტონსლავ ტოდოროვმა გაიტანა. ბულგარელი ორწელიწადნახევარია გუნდშია და პირველად შეაგდო, ჰარიმ კი თქვა: „კარგი დღე იყო. გამარჯვება ამოსუნთქვის საშუალებას გვაძლევს. ცუდ ადგილას ვართ და მაღლა უნდა ავიწიოთ“.

მოკლედ, საშობაო თამაშებს ველით. მიუხედავად იმისა, რომ...

**ირაკლი ბამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 13 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 11 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 9 |
| რუნი (მანჩესტერი) | 9 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 9 |

**XVIII ტური**

24-25 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | ევერტონი |
| ჩარლტონი | : | არსენალი |
| ჩელსი | : | ფულემი |
| ლივერპული | : | ნიუკასლი |
| მანჩესტერი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| მიდლსბრო | : | ბლექბერნი |
| პორტსმუთი | : | ვესტ ჰემი |
| სანდერლენდი | : | ბოლტონი |
| ტოტენჰემი | : | ბირმინგემი |
| უიგანი | : | სიტი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 17 | 15 | 1 | 1 | 37:7 | 30 | 46 | 9 | 9 | 0 | 0 | 23:4 | 19 | 27 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:3 | 11 | 19 |
| 2 მანჩესტერი | 17 | 11 | 4 | 2 | 31:14 | 17 | 37 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:5 | 8 | 15 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:9 | 9 | 22 |
| 3 ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 20:8 | 12 | 31 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 19 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:4 | 3 | 12 |
| 4 ტოტენჰემი | 17 | 8 | 7 | 2 | 25:16 | 9 | 31 | 9 | 5 | 3 | 1 | 13:7 | 6 | 18 | 8 | 3 | 4 | 1 | 12:9 | 3 | 13 |
| 5 ბოლტონი | 16 | 9 | 3 | 4 | 22:14 | 8 | 30 | 8 | 5 | 2 | 1 | 9:2 | 7 | 17 | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 1 | 13 |
| 6 უიგანი | 17 | 9 | 1 | 7 | 19:18 | 1 | 28 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:8 | 4 | 16 | 8 | 4 | 0 | 4 | 7:10 | -3 | 12 |
| 7 სიტი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:16 | 7 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 12:5 | 7 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 0 | 10 |
| 8 არსენალი | 16 | 8 | 2 | 6 | 22:15 | 7 | 26 | 8 | 7 | 0 | 1 | 16:4 | 12 | 21 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | -5 | 5 |
| 9 ვესტ ჰემი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:21 | 3 | 25 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:10 | 4 | 13 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 12 |
| 10 ნიუკასლი | 17 | 7 | 4 | 6 | 18:17 | 1 | 25 | 8 | 4 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 15 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:11 | -1 | 10 |
| 11 ჩარლტონი | 16 | 7 | 1 | 8 | 21:26 | -5 | 22 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:15 | -6 | 7 | 8 | 5 | 0 | 3 | 12:11 | 1 | 15 |
| 12 ბლექბერნი | 17 | 6 | 3 | 8 | 19:24 | -5 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 16 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:15 | -9 | 5 |
| 13 მიდლსბრო | 17 | 5 | 5 | 7 | 23:26 | -3 | 20 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:15 | 0 | 13 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:11 | -3 | 7 |
| 14 ფულემი | 17 | 5 | 4 | 8 | 18:22 | -4 | 19 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 16 | 9 | 0 | 3 | 6 | 6:14 | -8 | 3 |
| 15 ასტონ ვილა | 17 | 4 | 5 | 8 | 16:26 | -10 | 17 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | -5 | 9 |
| 16 ევერტონი | 17 | 5 | 2 | 10 | 9:23 | -14 | 17 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 7 | 9 | 3 | 1 | 5 | 5:12 | -7 | 10 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:25 | -8 | 16 | 9 | 4 | 1 | 4 | 14:12 | 2 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 3:13 | -10 | 3 |
| 18 პორტსმუთი | 17 | 3 | 4 | 10 | 13:26 | -13 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 4:10 | -6 | 6 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 7 |
| 19 ბირმინგემი | 16 | 3 | 3 | 10 | 11:23 | -12 | 12 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:12 | -7 | 4 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 8 |
| 20 სანდერლენდი | 17 | 1 | 2 | 14 | 14:35 | -21 | 5 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:20 | -13 | 2 | 8 | 1 | 0 | 7 | 7:15 | -8 | 3 |

### ჩემპიონატი

**XXIV ტური**

**ბარნლი 4:1 უოტფორდი**

1:0 ბრანჩი (31), 2:0 ჰარლი (41), 2:1 კინგი (61), 3:1 ჰარლი (76პ), 4:1 ოკონორი (78)

**კარდიფი 0:0 დერბი**

**ლესტერი 1:1 ქრიუ**

0:1 ჰიგდონი (39), 1:1 ჰემე (64)

**ლუტონი 2:3 სტოკი**

1:0 ბრკოვიჩი (20), 1:1, 1:2 გალაჰერი (45, 82), 2:2 ნიკოლი (87პ), 2:3 კოინი (90ს.კ.)

**მილუოლი 0:2 რედინგი**

0:1 სიდველი (39), 0:2 დოილი (67)

**ნორვიჩი 3:1 საუთჰემპტონი**

0:1 ბელმადი (8), 1:1, 2:1, 3:1 ეშტონი (29, 50, 65)

**პლიმუთი 2:0 კრ. პალასი**

1:0 ჩედვიკი (17), 2:0 კაპალდი (90)

**ვენსდი 0:1 იფსვიჩი**

0:1 ფორსტერი (86)

**ვულვზი 1:0 ლიდსი**

1:0 განეა (37)

**ბრაიტონი 2:1 ჰალი**

0:1 ელიოტი (4), 1:1 კეროლი (15), 2:1 ოტვეი (45)

**პრესტონი 0:0 შეფილდი**

**ქპრ — ქოვენთრი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 23 | 17 | 5 | 1 | 46:12 | 56 |
| შეფილდი | 23 | 16 | 4 | 3 | 46:21 | 52 |
| უოტფორდი | 23 | 10 | 9 | 4 | 38:27 | 39 |
| ლიდსი | 22 | 11 | 6 | 5 | 28:20 | 39 |
| კარდიფი | 23 | 9 | 7 | 7 | 33:26 | 34 |
| ლუთონი | 23 | 10 | 4 | 9 | 33:32 | 34 |
| სტოკი | 23 | 11 | 1 | 11 | 29:32 | 34 |
| პრესტონი | 23 | 7 | 12 | 4 | 27:21 | 33 |
| კრ. პალასი | 21 | 9 | 5 | 7 | 33:24 | 32 |
| ვულვზი | 23 | 7 | 11 | 5 | 28:20 | 32 |
| ბარნლი | 23 | 9 | 5 | 9 | 31:29 | 32 |
| საუთჰემპტონი | 22 | 6 | 13 | 3 | 25:19 | 31 |
| ქუინზ პარკი | 23 | 7 | 8 | 8 | 27:33 | 29 |
| დერბი | 23 | 5 | 11 | 7 | 30:33 | 26 |
| ჰალი | 23 | 6 | 8 | 9 | 21:25 | 26 |
| ნორვიჩი | 23 | 7 | 5 | 11 | 23:30 | 26 |
| იფსვიჩი | 23 | 6 | 8 | 9 | 26:36 | 26 |
| ქოვენთრი | 23 | 5 | 10 | 8 | 28:34 | 25 |
| ლესტერი | 22 | 5 | 9 | 8 | 25:28 | 24 |
| პლიმუთი | 22 | 4 | 9 | 9 | 18:29 | 21 |
| უენსდი | 23 | 4 | 8 | 11 | 17:29 | 20 |
| ბრაიტონი | 23 | 2 | 13 | 8 | 22:35 | 19 |
| ქრიუ | 23 | 4 | 7 | 12 | 24:45 | 19 |
| მილუოლი | 23 | 3 | 8 | 12 | 17:35 | 17 |
| სტოკპორტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

### პირველი ლიგა

**XXII ტური**

სკანთორპი — ნოტინგემი 3:1; უოლსოლი — ჰარტლპული 1:0; ტრანმერი — ბრენტფორდი 1:4; სუინდონი — ბლეკპული 0:0; პორტ ვეილი — ბრისტონი 0:1; ჰადერსფილდი — საუთენდი 0:0; დონკასტერი — სუონსი 2:1; კონჩესტერი — მილტონი 2:0; ჩესტერფილდი — ოლდემი 1:1; ბრედფორდი — როტერჰემი 1:2; ბორნმუთი — ჯილინგემი 2:1; იოვილი — ბარნსლი 2:1

### მეორე ლიგა

**XXII ტური**

ოქსფორდი — ლინკოლნი 0:1; ბოსტონი — ჩელტენემი 0:0; როვერსი — ტორკი 0:1; ბერი — უიკომბი 2:1; კარლაილი — რექსემი 2:1; ჩესტერი — რაშდენი 1:2; დარლინგტონი — გრიმსბი 0:0; მაკლსფილდი — ბარნეტი 1:1; მენსფილდი — პიტერბრო 0:0; ნორთჰემპტონი — შრიუსბერი 1:0; ნოტსი — სტოკპორტი 2:0; როჩდეილი — ლეიტონი 2:4

# მილანის რვა გაყოფილი ორზე


AFP რომიდან

ლაციო — იუვენტუსი. პაოლო დი კანიო თავისას არ იშლის

## იტალია

### სერია A. XVI ტური

**ლაციო 1:1 იუვენტუსი**

1:0 როკი (16), 1:1 ტრეზეგე (26)
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი (კელერი 44), დაბო, ლივერანი, მანფრედინი, დი კანიო (პანდევი 54), როკი (ტარე 70)
მწვრთნელი: დელიო როსი
იუვენტუსი: აბიატი, ძამბროტა, ტურამი, კანავარო, კიელინი, კამორანეზი (ზალაიეტა 82), ბლაზი, ვიეირა, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (დელ პიერო 80)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ვიეირა, ნედვედი, ბლაზი, კრიბარი, ძაური
მსაჯი: პიერი
52 000 მაყურებელი

**ტრევიზო 2:1 ლეჩე**

1:0 ე. ფილიპინი (31), 2:0 პინგა (64), 2:1 ვუჩინიჩი (69)
ტრევიზო: ძანკოპე, დელაფიორე, კოტაფავა (ჯულიატო 66), გუსტავო, დოსენა, ე. ფილიპინი, პარავიჩინი (დე მარტინო 85), ა. ფილიპინი, პინგა, რეჯინალდო (გალეოტო 57), ფავა
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი (ანჯელო 39), დიამუტენი, სტოვინი, რულო, დელ ვეკიო, ვალდესი, კამორანი (ლედესმა 46), კონანი, ვუჩინიჩი, კოცოლინო (პელე 66)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: პინგა, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, მარტინო, კამორანი, დელ ვეკიო, ვალდესი, დიამონტი
გაძევება: სიჩინიანო (87)
მსაჯი: როსეტი
9 000 მაყურებელი

**კალიარი 2:1 ასკოლი**

1:0 დელ გროსო (9ს.კ.), 2:0 სუაცო (26), 2:1 ბისო (55)
კალიარი: კაპანიოლო, ბეგა, ლოპესი, კანინი, აგოსტინი, აბეიხონი, კონტი (გობი 60), კონტიკიო, ესპოზიტო, სუასო, ლანგელა (კაპონი 92)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
ასკოლი: კოპოლა, კუდინი დომიცი, პაჩი, დელ გროსო, ფოჯა (კორდოვა 71), გუანა, ბისო (ძანინი 81), ფინი, კალიარელა, კოლომბო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: ბისო, ლოპესი, დომიცი, კონტი, ფოჯა
მსაჯი: როდომონტი
11 000 მაყურებელი

**კიევო 2:0 უდინეზე**

1:0 ტირიბოკი (34), 2:0 ობინა (65პ)
კიევო: სკუიცი, მალაჯო, მანდელი, დიანა, ლანა, სემიოლი, სამარკო (ბრიგი 86), ჯუნტი, ლუჩანო, ტირიბოკი (ამაური 71), ობინა (პელისიერი 75)
მწვრთნელი: ჯანკარლო პილონი
უდინეზე: დე სანქტისი, ძაპატა, ხუარესი, ფელიპე, ტისონე, მაური, ობოდო, მუნტარი, პიერი, ბარეტო, დი ნატალე (დი მიქელე 68)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: მაური, სამარკო, ფელიპე, ჯუნტი
გაძევება: მაური (50)
მსაჯი: ბანტი
8 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:1 ფიორენტინა**

0:1 პაცინი (70), 1:1 ვანუჩი (73)
ემპოლი: ბერტი, ლუჩინი, კოდა, პრატალი (ვანუჩი 52), ბონეტო, ბუსკე, ძანეტი (ვანილი 86), მორო, ალმირონი, ტავანო, რიგანო
მწვრთნელი: მარიო სომა
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, გამბერინი, დანიელი, პასკუალი, ფიორე, ბროკი, დონადელი, იორგენსენი, პაცინი (ბოჟინოვი 72), ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ბონეტო, ლუკინი, უიფალუში, კოდა, პაცინი
მსაჯი: პაპარესტა
17 000 მაყურებელი

**მილანი 4:0 მესინა**

1:0, 2:0 შევჩენკო (22პ, 47), 3:0 პირლო (83), 4:0 ჯილარდინო (85)
მილანი: დიდა, შიმიჩი, სტამი, კალაძე, სერჟინიო, გატუზო, პირლო (ფოგელი 84), ზეედორფი (ამბროზინი 76), კაკა, შევჩენკო (ვიერი 63), ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მესინა: სტორარი, ძორო, ოლორუნლეკე (დონატი 69), კრისტანტე, არონიკა, ძანკი, მამედე, სკული (რაფაელი 76), დაგოსტინო, დი ნაპოლი, ძამპანია (მუსლიმოვიჩი 78)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ზეედორფი
მსაჯი: ტალიავენტო
55 000 მაყურებელი

**პალერმო 0:2 ლივორნო**

0:1 პფერტცელი (67), 0:2 მორონე (90)
პალერმო: გარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, გონსალესი, ბარონე, კორინი, ბონანი (ფერი 57), მაკინვა (ბრიენცა 26; პალმიტიერი 82), კარაჩოლო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, პფერტცელი (ზალერი 78), მორონე, პასონი, დე აშენტისი (ჩენტი 68), კოკო, ლუკარელი, ლაცეტიჩი (ბაკაიოკო 84)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: ბონანი, პფერტცელი, ჩენტი, კარაჩოლო
გაძევება: ფერი (88)
მსაჯი: პალანკა
26 000 მაყურებელი

**რეჯინა 0:4 ინტერი**

0:1 კორდობა (2), 0:2 მარტინსი (15), 0:3 ადრიანო (40), 0:4 პიზარო (90)
რეჯინა: პავარინი, ლაურო, ლანძარო, დე როსა (კარობიო 56), ლუკარელი, მესტო (ბიონდინი 46), პარედესი, ტედესკო, მოდესტო, ვიჯიანი (ამორუზო 63), კოცა
მწვრთნელი: ვალტერ მაცანი
ინტერი: ჟულიო სეზარი, ძანეტი, კორდობა, სამუელი, ფავალი (პიზარო 64), ფიგუ, კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი (ბურდისი 46), ადრიანო, მარტინსი (რეკობა 79)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, ლაურო, კაბიასო, კორდობა, ტედესკო
მსაჯი: ბერტინი
20 000 მაყურებელი

**სიენა 2:2 პარმა**

0:1 კორადი (47), 1:1 ლოკატელი (52), 2:1 კიეზა (76), 2:2 დესენა (90პ)
სიენა: მირანტე, პორტანოვა, ლეგროტალიე, გასტალდელო (მოლინარო 87), ალბერტო, პარო, ვერგასოლა, ფოლიო, ლოკატელი, კიეზა (მარაცინა 78), ლანი (ბოგდანი 67)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
პარმა: ბუჩი, კოლი, კარდონე (პასკუალე 82), კანავარო, კონტინი, გრელა, სიმპლისიო, ბოლანო (პაპონი 82), მარკიონი, ბრეშანო (დესენა 73), კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფხთილება: კოლი, გასტალდელო, პორტანოვა, ვერგასოლა
მსაჯი: დატილო
7 000 მაყურებელი

**სამპდორია — რომა**

*წუხელ გვიან დამთავრდა* *(იხ. მე-15 გვერდზე)* *და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„**ლაციო**" მშობლიური „სტადიო ოლიმპიკოდან" კვლავ დაუმარცხებელი გამოვიდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯერზე მისი მეტოქე გახლდათ გუნდი, რომელსაც თხუთმეტი თამაშიდან თოთხმეტი ჰქონდა მოგებული — „იუვენტუსი". როგორ შეძლეს რომაელებმა „ბებერ ქალბატონთან" ფრედ თამაში? როგორც თავად „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელი, ფაბიო კაპელო ბრძანებს, მისი გუნდის შეცდომების წყალობით.

„ჩვენ შევხვდით ძალიან აგრესიულ და იმავდროულად ძალიან კარგ გუნდს — ბრძანა კაპელომ, — რომაელებმა მეტისმეტად ინტენსიური ფეხბურთი ითამაშეს, განსაკუთრებით პირველ ოც წუთში. მერედა, ჩვენ ჩვენი საუკეთესო მომენტები ვერ გამოვიყენეთ, რის გამოც „ლაციომ" დაგვსაჯა. სხვა იქნებოდა ანგარიში მაინც რომ გაგვეხსნა, მაგრამ პირიქით მოხდა, ისეთი გოლი გავუშვით, რომ მასპინძლებს ფაქტობრივად დახმარების ხელი გავუწოდეთ."

გოლი კი ასეთი გახლდათ: პოზიციური შეცდომა არც მეტი-არც ნაკლები ლილიან ტურამმა დაუშვა, ტომაზო როკიმ ისარგებლა და დაახლოებით რვა-ათი მეტრიდან დაუმიზნა ტურინელების კარს. გამათანაბრებელი დარტყმა კი დავიდ ტრეზეგესი გახლდათ, რომელიც პაველ ნედვედის ლონიერ თავურს წაეშველა.

ფაბიო კაპელო: „ტრეზეგემ და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა წყვილად საუცხოოდ იმუშავეს, ასე, რომ „ლაციოს" კარში მეტი გოლი მხოლოდ ანჯელო პერუცის კარგი თამაშის გამო ვერ გავიდა."

თამაში რომ ძალიან დაძაბული იყო, ამას სტატისტიკაც მეტყველებს — მსაჯმა ფეხბურთელების დასაჯარიმებლად ორმოცდაათჯერ დაუსტვინა ხოლო რომაელი ვალონ ბეჰრამი სავარაუდოდ მუხლის მყესების დაზიანებით გაიყვანეს მოედნიდან.

„ლაციოს" თავკაცმა დელიო როსიმ შეხვედრა ასე შეაფასა:

„ჩვენ შეძლებისდაგვარად სწრაფად ვითამაშეთ და „იუვეს" შემოქმედი ფეხბურთელები მაქსიმალურად შევბოჭეთ. ცოტა მეტად რომ გაგვმართლებოდა მოვიგებდით კიდეც, მაგრამ რაც არის, არის, ბიჭებს ამ თამაშის გამო მხოლოდ მადლობა ეკუთვნით. გულწრფელად გეუბნებით, მეგონა ამ საღამოს უფრო მეტად გაგვიჭირდებოდა.

და კიდევ, ყველა გაასმაგებული ყურადღებით უყურებდა რომაელ პაოლო დი კანიოს, რომელმაც წინა ტურში გულშემატკივრებისადმი ფაშისტური სალმით გაალიზიანა იტალიური საფეხბურთო ისტაბლიშმენტი. დი კანიომ ამ შეხვედრაშიც გააკეთა რაღაც მაგვარი, თუმცა, ალბათ ნაკლებ დემონსტრაციულად.

„მე მისი ჟესტი რასისტული არ მგონია და არ მინდა ეს კლუბი და მისი ქომაგები რასისტებად მიიჩნიონ," — ბრძანა დასასრულ დელიო როსიმ.

ხოლო მილანმა, თუ ქალაქ მილანს ვგულისხმებთ, კვირა საღამოს თავის მოსახლეობას 8 გოლი უძღვნა, რომელთაგან ოთხი „ინტერმა" შეაგდო, ხოლო ოთხი „მილანმა". კახა კალაძიდან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესო „მილანი", რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კვლავ ცენტრალურ მცველად ითამაშა, შავწითლებმა გუშინ „მესინას" მოუგეს. პირველი ორი გოლი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა, მას პირლომ და ჯილარდინომ აუბეს მხარი და, ალბათ, მილანელთა ბოლოდროინდელი შეფერხება ამით დასრულა კიდეც — შეგახსენებთ, რომ ბოლო ოთხი თამაშიდან კარლო ანჩელოტის ქვეშევრდომებმა სამი წააგეს. დავძინოთ აგრეთვე, რომ ანჩელოტის განკარგულებაში არ იყვნენ პაოლო მალდინი, კაფუ, ფილიპო ინძაგი და დისკვალიფიცირებული ალესანდრო ნესტა.

რაც შეეხება რეჯო კალაბრიაში სტუმრად მყოფ „ინტერს", მან „სტადიო გრანილოზე" თამაშის დაწყებიდან სულ ას წამს აცალა გასვლა და ანგარიში გახსნა. როგორც ოქმიდანაც კარგად ჩანს, მე-15 წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო სტუმრების სასარგებლოდ და საერთოდაც ეს თამაში დიდი დრამატიზმით არ გამოირჩეოდა.

**პაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 16 | 14 | 1 | 1 | 36:9 | 27 | 43 | 8 | 8 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 24 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 19 |
| 2 ინტერი | 16 | 11 | 2 | 3 | 32:13 | 19 | 35 | 8 | 7 | 0 | 1 | 20:5 | 15 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 14 |
| 3 მილანი | 16 | 11 | 1 | 4 | 36:18 | 18 | 34 | 8 | 8 | 0 | 0 | 23:6 | 17 | 24 | 8 | 3 | 1 | 4 | 13:12 | 1 | 10 |
| 4 ფიორენტინა | 16 | 10 | 3 | 3 | 31:17 | 14 | 33 | 8 | 7 | 0 | 1 | 20:10 | 10 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 |
| 5 ლივორნო | 16 | 8 | 4 | 4 | 17:16 | 1 | 28 | 8 | 5 | 2 | 1 | 9:4 | 5 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 11 |
| 6 კიევო | 16 | 7 | 6 | 3 | 20:15 | 5 | 27 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 12 |
| 7 სამპდორია | 15 | 7 | 3 | 5 | 26:20 | 6 | 24 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | 5 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:10 | 1 | 10 |
| 8 ლაციო | 16 | 6 | 5 | 5 | 21:22 | -1 | 23 | 8 | 5 | 3 | 0 | 15:8 | 7 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 5 |
| 9 პალერმო | 16 | 5 | 7 | 4 | 24:24 | 0 | 22 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 12 | 8 | 2 | 4 | 2 | 11:12 | -1 | 10 |
| 10 რომა | 15 | 5 | 5 | 5 | 22:19 | 3 | 20 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 8 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:5 | 5 | 12 |
| 11 უდინეზე | 16 | 6 | 2 | 8 | 16:23 | -7 | 20 | 8 | 3 | 1 | 4 | 6:6 | 0 | 10 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:17 | -7 | 10 |
